ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

№ 33 (1462), პარასკევი, 13 აგვისტო, 1965 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანო | «ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО» — ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ | ფასი 10 კაპ.

ძმობის ზეიმზე

მოძმე უკრაინაში, სადაც თავისი სიცოცხლის ნახევარზე მეტი გაატარა დიდმა ქართველმა პოეტმა დავით გურამიშვილმა, ზეიმით აღნიშნეს „დავითიანის“ ავტორის დაბადების 260 წლისთავი.

31 ივლისს, საღამოს 7 საათზე მირგოროდის საზოგადოებრიობამ თავი მოიყარა კულტურის სახლის შენობაში. სცენა მორთული იყო ცოცხალი ყვავილების თაიგულებით, რომლებიც ამ მიდამოებში იყო დაკრეფილი, სადაც ერთ დროს გურამიშვილი დადიოდა. სცენის შუაში აღმართული იყო დავით გურამიშვილის დიდი პორტრეტი, აქეთ-იქეთ კი — თარიღები 1705-1965. ფრიალებდა უკრაინისა და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკების დროშები. მაღლა, ფრონტონზე რუსულ, უკრაინულ და ქართულ ენებზე მოჩანდა წარწერა: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობას“.

დავით გურამიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო შესავალი სიტყვით გახსნა უკრაინის კომპარტიის პოლტავის ოლქის მირგოროდის რაიკომის მდივანმა ვასილ რიდკომ. მან ილაპარაკა ქართველი და უკრაინელი ხალხების ძმურ მეგობრობაზე, დავით გურამიშვილის შემოქმედების უკვდავებაზე, იმაზე, თუ როგორია ურღვევი და მარადიული საბჭოთა ხალხების ლენინური მეგობრობა.

მოხსენება დავით გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ წაიკითხა მირგოროდის მე-3 სკოლის მასწავლებელმა ლიდია შაპოვალმა.

მირგოროდის მშრომელთა სახელით სიტყვა წარმოთქვა მირგოროდის დავით გურამიშვილის სახელობის სკოლის მასწავლებელმა ლესია კავჩუკმა.

უკრაინის მწერალთა კავშირის პოლტავის განყოფილების თავმჯდომარემ პოეტმა ოლეს იურენკომ წაიკითხა დავით გურამიშვილისადმი მიძღვნილი ლექსი.

ვრცელი სიტყვა წარმოთქვა გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესანიშნავმა მცოდნემ, მწერალმა და მკვლევარმა დმიტრო კოსარიკმა.

საქართველოს საბჭოთა მწერლების სახელით პოეტმა ნოდარ გურეშიძემ მხურვალე მადლობა გადაუხადა მირგოროდის მშრომელებს, რომლებიც ასე სიყვარულითა და პატივისცემით ინახავენ დავით გურამიშვილის ხსოვნას.

მოსკოვის მწერალთა კავშირის სახელით გამოსულმა პროფესორმა ფედორ პიპოვმა ილაპარაკა ჩვენი სამშობლოს ხალხთა ძმურ მეგობრობაზე.

ახალგაზრდა უკრაინელმა პოეტმა ანტონ შევჩენკომ წაიკითხა ლექსი „გურამიშვილის ხმალი“.

დ. გურამიშვილის უკრაინაში ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ილაპარაკა უკრაინელმა პოეტმა ოლექსა ნოვიცკიმ.

პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა ქართულ ენაზე წაიკითხა დავით გურამიშვილისადმი მიძღვნილი ლექსი.

საღამოზე აღელვებული დეპეშა გამოგზავნა გამოჩენილმა უკრაინელმა პოეტმა პავლო ტიჩინამ. „გულითადად ვესალმები მირგოროდისა და ზუბოვკის მშრომელებს, — ეწერა დეპეშაში, — რომლებიც წმინდად ინახავენ ქართველი ხალხის დიდი შვილის ხსოვნას. დიდება ხალხთა ერთიან ძმურ ოჯახს“.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიაც მირგოროდის თვითმოქმედ კოლექტივებთან ერთად მონაწილეობა მიიღო სამხედრო სამსახურში მყოფმა ქართველი მეომრების მომღერალთა გუნდმა.

1 აგვისტოს, დილის 10 საათზე გურამიშვილის საფლავზე გაიმართა მიტინგი. სახეიმო დღეს საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით დიდი წინაპრის საფლავს თაყვანი სცეს და გვირგვინით შეამკეს ნოდარ გურეშიძემ და ჯანსუღ ჩარკვიანმა.

გვირგვინები მიიტანეს მირგოროდის პარტრაიკომისა და რაიაღმასკომის, მირგოროდის დავით გურამიშვილის სახელობის ქუჩის, მირგოროდის პიონერ-მოსწავლეთა, გურამიშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმის და გურამიშვილის სახელობის სკოლის, ზუბოვკის მშრომელთა, მირგოროდის რაიონის მშრომელთა და მირგოროდის რაიონში მცხოვრებ ქართველთა სახელით. ცოცხალი ყვავილების მთა აღიმართა დავით გურამიშვილის საფლავთან. აქეთ-იქეთ რიგად საგურამოდან მოტანილი და გურამიშვილის საფლავთან დარგული მუხის ახალგაზრდა ხეები.

დ. გურამიშვილის საფლავთან გამართულ მიტინგზე ხარკოვის უნივერსიტეტის დოცენტმა გრიგოლ კოლომიეცმა თავისი სიტყვა ქართულ ენაზე წარმოთქვა. კოლომიეცი საქართველოში არ ყოფილა, მაგრამ ქართული ენა მას თვითგანვითარების საშუალებით შეუსწავლია. უკრაინელი და ქართველი ხალხების ურღვევ მეგობრობაზე, დავით გურამიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ილაპარაკა დმიტრო კოსარიკმა. სიტყვით გამოსულმა ნოდარ გურეშიძემ უღრმესი მადლობა გადაუხადა მირგოროდის რაიონის მშრომელებს, მთელ უკრაინელ ხალხს, რომლებიც წმინდად ინახავენ ქართველი პოეტის ხსოვნას. გურამიშვილმა დიდი ტანჯვა გადაიტანა, — თქვა მან, — მაგრამ დღეს შეიძლება შევშურდეთ მისი ბედი: იგი ორი ხალხის — ქართველი და უკრაინელი ხალხების შვილია. დაე მარად ურყევი იყოს ჩვენი ხალხების მეგობრობა.

მიტინგის შემდეგ საქართველოდან და უკრაინის სხვადასხვა კუთხეებიდან ჩასულმა სტუმრებმა მასპინძლების თანხლებით დაათვალიერეს დავით გურამიშვილის სახელობის სკოლა და ბიბლიოთეკა-მუზეუმი, რომლებშიაც მოწყობილია დიდი ქართველი პოეტისადმი მიძღვნილი მუდმივი გამოფენა. სკოლასა და ბიბლიოთეკაში გამოფენილია, როგორც კლასიკოსების, ისე თანამედროვე ქართველი მწერლების ნაწარმოებები, დავით გურამიშვილის პორტრეტები, „დავითიანის“ ქართული და უკრაინული გამოცემები.

ზუბოვკისაკენ მიმავალ გზაზე ქართველმა და უკრაინელმა მწერლებმა დაათვალიერეს ყორღანი, რომელსაც ახლაც „გურამიშვილის გორას“ ეძახიან. გადმოცემის თანახმად, ამ გორასთან ხვდებოდნენ ერთმანეთს დიდი პოეტი და მისი სატრფო ტეტიანა. დმიტრო კოსარიკმა ყვავილების თაიგული მიიტანა გორაკის მწვერვალზე. „დაე ეს მინდვრის ყვავილები იყოს სახსოვარი მათი წმინდა და უმწიკვლო სიყვარულისა“ — თქვა მან.

ზუბოვკაში დიდძალი ხალხი მოეგება სტუმრებს. ორკესტრი უკრავდა უკრაინულ და ქართულ ხალხურ მელოდიებს. გურამიშვილის სახელობის სკოლა მორთული იყო ცოცხალი ყვავილებით. აქვე, მემორიალურ დაფასთან ჩამოკიდებული იყო გვირგვინი წარწერით: „ჩვენს დიდ დავითს ზუბოვკელებისაგან“. ნოდარ გურეშიძემ და ჯანსუღ ჩარკვიანმა ერთხმად ჩამოკიდეს საქართველოს მწერალთა კავშირის გვირგვინი. სახელდახელო მიტინგი სიტყვით გახსნა მირგოროდის პარტიის რაიკომის მდივანმა ვასილ რიდკომ. გულთბილი სიტყვა წარმოთქვა ზუბოვკის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ივანე სიპრენკომ. დ. გურამიშვილისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა კრემენჩუგელმა პოეტმა გრიგოლ ტერეშჩენკომ. სიტყვით გამოსული ჯანსუღ ჩარკვიანი მხურვალედ მიესალმა ზუბოვკის მშრომელებს.

ზუბოვკასა და მირგოროდში გვიანობამდე გრძელდებოდა დავით გურამიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთო სახალხო ზეიმი, რომელიც უკრაინელი და ქართველი ხალხების, მთელი ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხთა ერთობისა და მეგობრობის ნამდვილ დღესასწაულად გადაიქცა. ეკრანებზე უჩვენებდნენ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კინოფილმებს „დავით გურამიშვილი“ და „ჯარისკაცის მამა“.

3 აგვისტოს მრავალმილიონიანი უკრაინელი ტელემაყურებლის წინაშე კიევის ტელესტუდიაში გამოვიდნენ ნოდარ გურეშიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, დმიტრო კოსარიკი და ოლექსა ნოვიცკი. მათ ილაპარაკეს ჩვენი ხალხების მეგობრობის ცხოველმყოფელ ძალაზე, დავით გურამიშვილის შემოქმედების უკვდავებაზე. ჩვენი დიდი წინაპრების ტარას შევჩენკოს, ლესია უკრაინკას, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და სხვათა მეგობრობის მარადიულობაზე და უკრაინულ და ქართულ ენებზე წაიკითხეს საკუთარი ნაწარმოებები.

სურათზე: პოეტებს ჯანსუღ ჩარკვიანს და ნოდარ გურეშიძეს გვირგვინი მიაქვთ გურამიშვილის საფლავზე.

ვაჟას დღეები

ჩარგალში

ჟინვალის გადასახვევიდან არ შეიძლება გონებაში ზედიზედ არ წამოიშალოს ვაჟას სტრიქონები. რომელ ერთს გაიხსენებ, ეს სტრიქონები ამ არაგვსა და ამ ციცაბო კლდეებს, ამ მწვანესა და ვიწრო გზას უმღერის. და, ახლა ვაჟას სიყვარულით, ვაჟას ჩარგლის სათაყვანებლად რომ გაუფართოებიათ. აგერ თვალწინ! აქ უყვარდა თბილისიდან ჩარგლისაკენ, ან ჩარგლიდან თბილისისაკენ მიმავალ ვაჟას შესვენება, დუქანში პურის გატეხა და ხალხური მთქმელებისათვის ყურისგდება. მერე მაღაროსკარი. აქ არაერთ თავშეფარებულ რევოლუციონერს შეხვედრია ადამიანური თავისუფლებისა და ვაჟკაცობის მომღერალი.

მანქანების ქარავნებმა გაავსო კვირას, 8 აგვისტოს ჩარგლისაკენ მიმავალი გზა. ვაჟას პოეზიის უამრავმა თაყვანისმცემელმა მოიყარა თავი ამ პატარა სოფელში. აქ ყველაფერი იპყრობს თვალს — სხარტი ჩარგლულა და ნისლებშემოხვეული უდაბნოს მთა..., ალბათ ამ ჭანდიანმა მთამ თუ ათქმევინა ვაჟას „ნისლი ფიქრია მთებისა“, ამ მწვერვალებმა, დედაბუდმა მთებმა შესძინა ვაჟას პოეზიას ხმის სიმტკიცე და ვაჟკაცური სული.

სახალხო ზეიმს ესწრებოდნენ ამერიკელი მხატვრები ეში პოკარდი და ბაირონ რენდოლი. ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში მათ თქვეს: „ქართველ ხალხს სცოდნია კლასიკოსების სათანადოდ დაფასება. ჩვენი აზრით ეს მისაბაძი ტრადიციაა. გვწამს, რომ ეს მთები და ეს ხალხი კიდევ ბევრ დიდ ადამიანს წარმოშობს“.

დღის პირველი საათია. იწყება ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი მშრომელთა მიტინგი.

ტრიბუნაზე ადიან ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები, პარტიული მუშაკები. მიტინგს ხსნის პარტიის დუშეთის რაიკომის პირველი მდივანი ა. ზადურია. სიტყვებით გამოდიან პოეტი-აკადემიკოსი გ. ლეონიძე, კომკავშირის დუშეთის რაიკომის მდივანი ზ. ბელთაური, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, პოეტი ბ. შინკუბა, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი, კრიტიკოსი ბ. ჟღენტი, სომხეთის მწერალთა ორგანიზაციის მეთაური ვ. მნაცაკანიანი. ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილ ლექსებს წაიკითხავენ ა. შანიძე, ვ. კორძაძე, ლ. ნუცუბიძე, ი. ტუხტურიშვილი, ი. ქართველიშვილი, ვაჟას შვილიშვილი — ა. რაზიკაშვილი, ტ. არაბული, ა. ხუცურაული, ნ. ბედლაური, ნ. გორელიშვილი, ა. ხაიაური და მ. არაბული.

ზეიმობდა ჩარგალი. ხალხის გულში ამღერებული სიყვარულის სტრიქონები ეხმოდათ ვაჟას მთებს. მერე ფშაველი ცხენოსნები შეეჯიბრნენ ფერდობებზე.

საღამოს ბინდმა შემოსა ეს ბუმბერაზი მთები და მოზეიმე ხალხის ყიჟინიც ნელ-ნელა მიწყნარდა.

თბილისში

მეორე დღეს, თბილისში, დღის პირველ საათზე მთაწმინდის პანთეონში, ვაჟას საფლავთან თავი მოიყარეს ქართველმა მწერლებმა, მეცნიერებმა, დუშეთისა და თიანეთის მშრომელთა წარმომადგენლებმა. მათ ყვავილებით შეამკეს დიდი მგოსნის საფლავი. ვაჟას საფლავთან გამართულ სახელდახელო მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების 50 წლისთავის აღსანიშნავი კომისიის თავმჯდომარემ პოეტმა-აკადემიკოსმა გ. ლეონიძემ, ვაჟას მოწაფემ, უფროსმა მოწყალების დამ ნ. ცოციშვილმა და საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა, პოეტმა ი. ნონეშვილმა. საღამოს კი ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში გაიმართა ვაჟას ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სახალხო პოეტმა გ. ლეონიძემ. ვაჟას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა პოეტმა ა. გომიაშვილმა.

სიტყვები წარმოთქვეს კრიტიკოსმა ბ. ჟღენტმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ე. ხარაძემ და სომეხმა მწერალმა ვ. მნაცაკანიანმა.

ვაჟასადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს ი. ნონეშვილმა, ნ. გურეშიძემ და დუშეთის მასწავლებელმა ი. ტუხტურიშვილმა. ვაჟას შვილის ვახტანგ რაზიკაშვილის ლექსი, მიძღვნილი სახელოვანი მამისადმი, წაიკითხა ვაჟას შვილიშვილმა გ. რაზიკაშვილმა.

ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოს ესწრებოდნენ ამხანაგები: მ. კუჩავა, პ. როდიონოვი, რ. შრუიძე, გ. ჯავახიშვილი, ო. ჩერქეზია, ზ. დოლიძე და ვ. სირაძე.

ჯადოსნური თვალი

რამდენი პოეტური სტრიქონია მიძღვნილი მთვარის ნათელი შუქისადმი, ნაზად რომ იფრქვევა ღამის წყვდიად საათებში. თუმცა პოეტებს არც კი ახსოვთ, რომ ამ საოცარი შუქის წყარო მთვარე კი არა, მზეა, რომლის სხივები ცივი მთვარის ზედაპირიდან არეკვლით ეცემიან დედამიწას.

ეს სრულებით არ უშლის მთვარეს იყოს შთაგონების წყარო პოეტებისა და ხელოვანებისათვის. აქ მოგიყვებით ჩვენი ბუნებრივი თანამგზავრის შემსწავლელი ქართველი ასტრონომების საინტერესო ძიებისა და შესანიშნავი აღმოჩენების ამბავს. მათს გამოკვლევებში არანაკლები შემოქმედებითი ფანტაზიაა, ვიდრე მწერლის ან მხატვრის ნაწარმოებში. მაგრამ მეცნიერის ფანტაზია ემყარება მკაცრ მათემატიკურ გამოთვლებს, ზუსტ ფიზიკური კანონების ცოდნას.

ნარკვევის მოქმედების ადგილია მთა ყანობილი, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია, ხოლო „გმირია“ — ელექტრონული ხელსაწყო პოლარიმეტრი, რომელიც მსოფლიოში პირველად ჩვენი რესპუბლიკის სწავლულების მიერ იქნა შექმნილი. მან ციური სხეულების შესწავლის ახალი შესაძლებლობა გახსნა. ხელსაწყოს შექმნა და გამოყენება ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატების ლ. გ. კანდელაკისა და ვ. მ. ჯაფიაშვილის დიდი ხნისა და დაუღალავი შრომის ნაყოფია.

ნარკვევი შემთხვევით არ დაწყებულა მთვარის შუქის ხსენებით. უამისოდ პოლარიმეტრი ხომ ვერ იმოქმედებდა, ვერაფერს ვერ აღმოაჩენდა მუდმივი თანამგზავრის ზედაპირზე. მას, როგორც სხვა ასტრონომიულ ხელსაწყოს, სჭირდება შუქი, მაგრამ შუქი განსაკუთრებული, რომლის სხივები, როგორც ფიზიკოსები ამბობენ, პოლარიზებულია.

პოლარიზაციის ხასიათი დამოკიდებულია სხივის დაცემის კუთხეზე და მისი ამრეკლავი ზედაპირის ფიზიკურ თვისებებზე, სიგლუვეზე. აქედან გამომდინარეობს, რომ მას მოაქვს რაღაც ინფორმაცია ამ ზედაპირის შესახებ.

პოლარიზებულ სხივებს შესანიშნავი თვისება აქვს. ის მოგვითხრობს იმაზე, რაც ჩვეულებრივ სხივებში თვალისაგან დაფარულია. პოლარიზებულ სხივში გადაღებული ცალკე ქანის სურათი თითქოს ცოცხლდება ჩვენს თვალწინ: გამოჩნდება დამახასიათებელი ბრწყინვალე სილები, ფერის ცვალებადობა, ზედაპირის სტრუქტურის თავისებურება. მთვარიდან არეკლილ პოლარიზებულ შუქს ბევრის თქმა შეუძლია ამ პლანეტაზე. ამიტომ სწავლულები დიდი ხანია მის ანალიზს ეწევიან. ამ დარგში ქართველმა ასტრონომებმა დიდი წარმატებები მოიპოვეს.

ყოველ აღმოჩენას თავისი კანონზომიერება აქვს. ერთი შეხედვით ის შეიძლება შემთხვევითი, სხვა დარგებთან დაუკავშირებელი გეჩვენოთ. ნამდვილად კი ძიების ლოგიკა, თვით მუშაობის მსვლელობა ამზადებს ახალ აღმოჩენას. ხშირად ეს მეცნიერებათა ან ტექნიკის მონათესავე დარგების მესაზღვრეზე ხდება. ასე იყო პოლარიმეტრის შექმნის დროსაც. შეიძლება ითქვას, რომ ის გაჩნდა ასტრონომიისა და რადიოელექტრონიკის თანამეგობრობით.

აბასთუმნის ობსერვატორიის დირექტორის მოადგილემ ვ. ჯაფიაშვილმა მთვარის პოლარიმეტრულ შესწავლას მრავალი წელი შესწირა.

წარმოუდგენელი სიშორიდან მოსულმა შუქმა თან მოიტანა ინფორმაცია დედამიწის ბუნებრივი თანამგზავრის აგებულების, ზედაპირის ფენის შემადგენლობის შესახებ. მაგრამ ინფორმაცია ჯერ დაშიფრულია. საიდუმლო შიფრი რომ წაიკითხოთ, საჭიროა გაიზომოს შუქის ცვლილება სხივის უამრავი დაცემის ყველა წერტილზე. ამას კი ვერც თვალი შეძლებს და ვერც ფოტოაპარატი. ამისათვის საჭიროა სხვაგვარი, ზემგრძნობიარე ხელსაწყოები.

და მაშინ მოიგონეს საოცარი ხელსაწყო — ფოტოგამამრავლებელი. მას გააჩნია შესანიშნავი თვისება — დაიჭიროს სინათლის ყველაზე სუსტი ნაკადი და ზუსტად გამოთვალოს მისი უმნიშვნელო რხევაც. ფოტოგამამრავლებლის გამოყენების იდეა მოსვენებას არ აძლევდა ჯაფიაშვილს. როგორი მიმზიდველიც არ უნდა იყოს იდეა, მასზე არაფრის თქმა არ შეიძლება, ვიდრე პრაქტიკით არ შემოწმებულა, სანამ ნაპოვნი არაა მისი განხორციელების რეალური ტექნიკური გადაწყვეტა.

მიზნის მიღწევა შეუძლებელი იყო რადიოელექტრონიკის დაუხმარებლად. სწორედ ამან დაუდო საფუძველი ასტრონომ ჯაფიაშვილისა და ახალგაზრდა რადიოინჟინერ კანდელაკის შემოქმედებით თანამეგობრობას. ისინი მუდამ გრძნობდნენ ობსერვატორიის დირექტორის აკადემიკოს ე. კ. ხარაძის დახმარებასა და მზრუნველობას. ვისაც უვლია გამომგონებლის ეკლიანი გზით, მან კარგად იცის, რას ნიშნავს ასეთი მხარდაჭერა.

ოცნებას ყოველთვის გაჰყავს გზა პრაქტიკული განხორციელებისაკენ. ამოცანა ნათლად ისახებოდა, სწავლულთა გონებაში კი უკვე იქმნებოდა ხელსაწყო, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა ავტომატურად წარემართათ მთვარის პოლარიმეტრული გამოკვლევა.

დაძაბულ შრომაში გავიდა თვეები. რამდენი ენერგია დაიხარჯა უცნობი გზების ძებნაში, რამდენი იყო იმედგაცრუება და მოულოდნელი მიგნება. პირველ სერიოზულ გამარჯვებას 1960 წლის ზაფხულის ერთ ნათელ ღამეს მიაღწიეს.

...ობსერვატორიის სათვალთვალო კოშკიდან, რომელზედაც 40-სანტიმეტრიანი ტელესკოპია დადგმული, სწავლულებმა გამოსცადეს თავიანთი ახალი ხელსაწყო — პოლარიმეტრი. იგი დააყენეს მთვარისაკენ მიმართულ ტელესკოპზე. ხელსაწყომ მთვარის შუქის ნაკადიდან გარკვევით გამოყო თითოეული პოლარიზებული სხივი. მისი საანგარიშო ამომხსნელი მოწყობილობა სხივების უმნიშვნელო ნაწილში აღნუსხავდა სხივის პოლარიზაციის ხარისხს. უკვე შესაძლებელი იყო მთვარის რელიეფის სხვადასხვა უბნიდან სხივის მიერ მოტანილი ცნობის წაკითხვა.

მსოფლიოში პირველი ელექტრონული პოლარიმეტრი ავტომატურად მოქმედებდა. მან ახლა დაიჭირა სხივური ინფორმაციის დაშიფვრება. ხელსაწყომ გაათავისუფლა მეცნიერები მთვარის ყოველი შესასწავლი წერტილის პოლარიზაციის ხარისხის გამოთვლისაგან, რომელზეც ძვირფასი დრო იხარჯებოდა.

პოლარიმეტრით მთვარის პირველმა გამოკვლევებმა მეცნიერებს მისცა საინტერესო, თანაც მოულოდნელი შედეგები. იქ, სადაც ჩვეულებრივი შუქის სხივებზე დაკვირვება იძლეოდა არაფრით გამორჩეულ, ბრტყელ ზედაპირს, ახალმა ხელსაწყომ შესაძლებლობა მისცა აღმოეჩინათ რაღაც უცნობი დეტალები. თითქოს მანამდე ამოუცნობმა მოუხერხა თავისი საიდუმლოების ნაწილის გამხელა მეცნიერებისათვის. ის უხმობდა, თავისკენ იზიდავდა მკვლევარებს. მაგრამ, რომ შეეღწიათ მასში, ამოეხსნათ მისი საიდუმლოება, საჭირო იყო პოლარიმეტრის სრულყოფა.

პოლარიზაციის ხარისხს იგი მხოლოდ გარკვეულ წერტილებში ზომავდა. ეს კი საშუალებას არ იძლეოდა ერთბაშად გამოეკვლიათ მთვარის ზედაპირის მთელი უბანი. როგორც ალალბედზე წაკითხული გვერდების მიხედვით არ შეიძლება ვიმსჯელოთ მთელს წიგნზე, ასევე გაფანტული წერტილების გამოკვლევით შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მთვარის ფართო ნაწილის საერთო ხედი. მაგრამ სად ვეძიოთ გამოსავალი?

პრაქტიკამ უკარნახათ ყველაზე მიზანშეწონილი მიმართულება. საჭირო იყო პოლარიმეტრის მუშაობა როგორმე შეეთავსებინათ ტელევიზორის მოქმედების პრინციპთან. ისევ გაგრძელდა ძიებები და თვეები დაძაბული შრომისა, რომელსაც ორი წელი მოუნდა. და სწავლულებმა მიაღწიეს თავისას. შეიქმნა პოლარიმეტრის „უფროსი ძმა“, რომელსაც პოლარიოვიზორი ეწოდება.

როგორც ზოგიერთი ასტრონომიული ინსტრუმენტი, პოლარიოვიზორი არ გამოირჩევა გარეგნობით. მას უბრალო გარეგნობა აქვს. მაგრამ არ მოგატყუოთ ხელსაწყოს ამ „უბრალოებამ“. შეუხედაობაში მასში იმალება შესანიშნავი თვისება ჯადოსნური „ელექტრონული თვალისა“. როგორც ელექტრონული სხივი დაუღალავად გამოსახულებას ტელევიზორის მილში, ასევე პოლარიოვიზორის დიაფრაგმა თანმიმდევრულად შემოურბენს მთვარის მთელ გამოსახულებას. პოლარიზაცია იზომება ზედაპირის ყველა წერტილზე, ხოლო გაზომვის შედეგები აისახება ტელეეკრანზე.

...არაფერი არ მალავს საკუთარ თავში იმდენ სილამაზესა და პოეზიას, რამდენსაც მთვარის ცივ შუქში გარინდებული მთები. გვეჩვენება, რომ ყველაფერი ცურავს მიუწვდომელ ვერცხლისფერ ნისლში და აქეთ-იქეთ ირხევა ნაზად და გვგონია, რომ მოვხვდით ფანტასტიკურ სამყაროში. რაღაც ამის მსგავსი ვიგრძენი, როცა ყანობილზე ავედი პოლარიოვიზორის მუშაობის გასაცნობად.

...ჩვენ ვართ ქვედა კოშკში, რომლის ღია ფანჯრიდან კოსმოსის იდუმალ სიღრმეს უმზერს ტელესკოპი. მის კორპუსზე დამაგრებულია ცილინდრული საგანი. საგანი გარედან უკავშირდება ხელსაწყოს, რომელიც ძალიან ჰგავს ტელევიზორს. მისი ეკრანის წინ დამაგრებულია ფოტოაპარატი. მიდის მზადება პოლარიმეტრული დაკვირვებისათვის. „ჯადოსნური თვალი“ იწყებს მოქმედებას. იდუმალ ციმციმებს მომწვანო ეკრანი, რომელზეც აუჩქარებლად მიიწევს ნათელი ციმციმა სხივი და ზედიზედ ავლებს სტრიქონებს.

— თქვენ ხედავთ მთვარის პოლარიმეტრულ გამოსახულებას, — განმარტავს კანდელაკი, — ეკრანზე მოჩანს სხვადასხვა იმპულსების ცვალებადი სიკაშკაშე, რომელიც ასახავს მთვარის ზედაპირის თითოეული წერტილის პოლარიზაციის ხარისხს. ელექტრო-გამომთვლელი მოწყობილობა ჩქარა და უშეცდომოდ ანგარიშობს სხივური სიგნალის სიკაშკაშეს და ცვლილებას. პოლარიმეტრული გამოსახულებები ავტომატურად აღიბეჭდება ფოტოფირზე.

...გაიჩხაკუნებს ფოტოაპარატის საკეტი და რაღაც 5 წუთში მიიღება გამოსახულება, რომელიც 50 ათასი წერტილისაგან შედგება. თითოეული წერტილი 5-ჯერ არის გაზომილი. პოლარიოვიზორს შეუძლია სხივური ნაკადის ცვალებადობა 2,5 მილიონჯერ აღიქვას. არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ეს ფანტასტიკურად ჟღერდა, ამჟამად კი ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობად იქცა. ასეთია ასტრონომიულ გამოკვლევებში ელექტრონიკისა და ავტომატიკის დანერგვის შედეგი.

მთვარის პოლარიმეტრული სურათები საშუალებას იძლევა ახლებურად შევხედოთ დედამიწის ბუნებრივ თანამგზავრს.

— ამ ფოტოსურათებმა საშუალება მოგვცა მთვარეზე აღმოგვეჩინა ახალი ობიექტები, უცნობი წარმონაქმნები, — მოგვითხრობს ვ. ჯაფიაშვილი, — აღმოჩენილი და დადგენილი პოლარიზაციის არე არ იმეორებს მთვარის ჩვეულებრივ რუკას. ჩვენი ხელსაწყოს მიერ გადაღებულმა სურათებმა ბევრი საინტერესო რამ უნდა გაგვიმჟღავნოს.

მთვარის რუკა აჭრელებულია რომანტიკული სახელწოდებებით: ნამის უბე, ცისარტყელის ყურე, წვიმების ზღვა, კეპლერი, კოპერნიკი... ჩვენ ვხედავთ ამ ადგილების პოლარიმეტრულ სურათებს. და აქაც ახალმა ხელსაწყომ სწავლულები რაღაც გამოცანის წინაშე დააყენა. მან აღმოაჩინა „პოლარიოცირკებად“ და „პოლარიოკრატერებად“ წოდებული უცნობი ობიექტები. ისინი ჰგავს მთვარის ჩვეულებრივ კრატერებს და ცირკებს. მაგრამ საქმე ის არის, რომ მთვარის ჩვეულებრივ სავსე ფოტოსურათებზედაც ისინი არ არის გამოსახული. რა წარმონაქმნაა, როგორი წარმოშობისაა ისინი? ეს მეცნიერებისათვის ჯერ კიდევ საიდუმლოებით არის მოცული.

მთვარეს ადამიანი მრავალი საუკუნე აკვირდებოდა. ახლა კი მის დაპყრობაზე ოცნებობს. ეს რთული და გრანდიოზული ამოცანაა. პოლარიოვიზორი ეხმარება სწავლულებს უპასუხონ კითხვებზე, თუ როგორი ხასიათისაა, აგებულებისა, შემადგენლობისაა მთვარის ზედაპირული საფარი.

ჩვენი რესპუბლიკის სწავლულების მიერ შექმნილი ელექტრონული ხელსაწყო სრულიად ახალგაზრდაა, მაგრამ მასზე არაერთხელ დაწერილა ასტრონომიულ ჟურნალებში, მოუხსენებიათ როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე საზღვარგარეთის სამეცნიერო სიმპოზიუმებზე და კონფერენციებზე.

ახლა მეტეოროლოგებს აინტერესებთ ხელსაწყოს გამოყენება ღრუბლის, წვიმისა და სეტყვის წარმოქმნის კანონზომიერების შესასწავლად. და შეიძლება ითქვას, რომ იგი მეცნიერებისა და ტექნიკის სხვა დარგებშიც ჰპოვებს გამოყენებას.

მისი შემქმნელები მოუსვენარი ადამიანები არიან.

...როცა ასტრონომიული კოშკიდან ჩამოვედით, შუაღამე იყო. ყველაფერი მიეცა სიწყნარეს, რომელსაც არაფერი არ არღვევდა. მაღლა ცაში ბრწყინავდნენ საოცრად დიდი, ნათელი ვარსკვლავები. და ჩვენ გვჯეროდა — დადგება დრო, როცა ვარსკვლავებიც გაუმხელენ ადამიანებს თავიანთ საიდუმლოს.

ბ. შატბერაშვილი

საგაზაფხულო გამოფენის ექსპონატებიდან



ზამთარი. მხატვარი გ. ცერაძე.

„დრუჟბა ნაროდოვის“ ფურცლებზე

ჟურნალის მეექვსე ნომერი იხსნება ირაკლი აბაშიძის ლექსებით — „პალესტინა, პალესტინა“. „შეხვედრა რუსთაველთან“ — ასეთი სათაური მიუცია ნიკოლოზ ტიხონოვს წერილისათვის, რომელიც ამ ლექსებს აქვს წამძღვარებული.

„უკვდავი წიგნის „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელის — შოთა რუსთაველის დიადი სახე ცნობილია მთელ მსოფლიოში. — წერს ნ. ტიხონოვი. — მას ხშირად მიმართავენ ხოლმე მხატვრები, მოქანდაკეები, გრაფიკოსები, პოეტები, რომ კვლავ და კვლავ დახატონ თვითონ იგი, ან მისი შესანიშნავი წიგნის გმირები“. შემდეგ ნ. ტიხონოვი ჩერდება რუსთაველის ირგვლივ წარმოქმნილ ასწლოვან ძიებაზე და ჯვარის მონასტერში ირაკლი აბაშიძის, აკაკი შანიძისა და გიორგი წერეთლის მოგზაურობაზე.

„ირაკლი აბაშიძემ, განცდილით აღელვებულმა, შოთა რუსთაველის დიდი აჩრდილის წინაშე პოეტური შთაგონებით აღსავსემ, „პალესტინის დღიურთან“ ერთად, შექმნა პოეტური პათოსითა და პოეტური აღმოჩენებით აღსავსე წიგნი ლექსებისა „პალესტინა, პალესტინა!“

არ შეიძლება ამ წიგნმა არ მიიპყროს ყველა იმ ადამიანის ყურადღება, ვისაც კი უყვარს ჭეშმარიტი პოეზია, იმიტომ, რომ იგი დაწერილია გზნებით, უჩვეულო ფორმით, ღრმა შეგრძნებით, გამჭრიახობითა და დიდი ოსტატური დახვეწილობით“.

ნიკოლოზ ტიხონოვი მოკლედ, მაგრამ საფუძვლიანად მიმოიხილავს ირაკლი აბაშიძის ლექსების წიგნს და თავის წერილს ასე ამთავრებს:

„ირაკლი აბაშიძემ დიდი პოეტური და ფსიქოლოგიური ძალით შექმნა მარტოდ მყოფი დიდი ჰუმანისტის სახე და საოცარი უნარით შესძლო შორეულ დროთა ამ პოეტური აღსარების გადმოტანა ჩვენს მშფოთვარე საუკუნეში, ჩვენს თანამედროვეობაში. და ჩვენ შევიგრძენით დროთა შეხვედრა, ცოცხალი, ჭეშმარიტი შთაგონებით განათებული.

თანამედროვე საბჭოთა პოეტი გაბედულად ენდო თავისი გულის ხმას, და, შორეულ დროთა ადამიანზე დაწერილი წიგნი, რომელმაც კლასიკური ქართული პოეზია შეაერთა ჩვენს დღევანდელ დღესთან, აღსავსეა ახალი პოეტური აღმოჩენებით.

ირაკლი აბაშიძის წიგნის ეს შესანიშნავი წარმატება ლაპარაკობს იმ უდიდეს შესაძლებლობებზე, რომლებიც იმალება ჩვენი დღევანდელი პოეზიაში, თუ გაბედულად აირჩევ თემას და მას გულის კარნახით გადმოსცემ მთელი შთაგონებით, მთელი მგზნებარებით, თუ გაიღებ პატივისცემისა და სიყვარულის ხარკს წარსულის პოეტური სიტყვის დიდებულების წინაშე და მისცემ მას დღევანდელი პოეტური ენის მთელ სიმდიდრეს.

შეხვედრა შოთა რუსთაველთან, ირაკლი აბაშიძის ლექსების ახალი წიგნი ჩვენი თანამედროვე პოეზიის დიდი მიღწევაა!“.

ჟურნალში დაბეჭდილი „პალესტინა, პალესტინა“ თარგმნილია ცნობილი რუსი პოეტის ალექსანდრე მეჟიროვის მიერ.

„დრუჟბა ნაროდოვის“ მეექვსე ნომერში დაბეჭდილია აგრეთვე კირილ ზდანევიჩის წერილი „ლადო გუდიაშვილი“.

„საქართველოს სახვითი ხელოვნება მდიდარია ტალანტებით. — კითხულობთ კ. ზდანევიჩის წერილში, — თაობამ, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში აღიზარდა, შექმნა ფერწერისა და ქანდაკების შესანიშნავი ნაწარმოებები. ლადო გუდიაშვილს ამ თაობის რიგებში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ეს იშვიათი შემოქმედებითი ძალის, დაუშრეტელი შთაგონების მქონე მხატვარია. მისი ნაწარმოებების გამოფენა შეავსებდა მოსკოვის მანეჟის ყველა დარბაზს“. კ. ზდანევიჩი მკითხველს მოკლედ აცნობს ლ. გუდიაშვილის ახალ ნაწარმოებებს და წერს: „მხატვარი ლადო გუდიაშვილი შემოქმედებითი ძიებისა და გაფურჩქვნის პერიოდშია, ის თავისი დაბადების სამოცდაათი წლისთავისათვის ამზადებს სურათების ახალ ციკლს. ეს იქნება თემის, ფორმების, ფერების ახალი გადაწყვეტა, ახალი ძიება. ეჭვი არ არის რომ ყოველივე ეს, როგორც ყოველთვის, საინტერესოდ, ღრმა ოსტატობით და შთაგონებით იქნება შესრულებული“.

აქვე გამოქვეყნებულია ლადო გუდიაშვილის „არტისტების“, „ფიროსმანაშვილის პორტრეტის“ და „კოლმეურნე ქალების“ ფერადი რეპროდუქციები.

სერგეი ესენინის იუბილე

მიმდინარე წელს სრულდება გამოჩენილი რუსი პოეტის სერგეი ესენინის დაბადების 70 წლისთავი. ამ დღეებში სსრ კავშირის მწერალთა კავშირის სამდივნომ თავის სხდომაზე განიხილა პოეტის იუბილესთან დაკავშირებული საკითხები.

ს. ესენინის იუბილე აღინიშნება ოქტომბერში. მოსკოვში გაიმართება პოეტის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. გამომცემლობა „ხუდოჟესტვენნაია ლიტერატურა“ 1966-1967 წლებში გამოსცემს ს. ესენინის თხზულებათა კრებულს. განზრახულია ესენინის თანამედროვეთა მოგონებების წიგნის გამოცემა, გამოვა ს. ესენინის ხმის გრამჩანაწერები.

იოსებ გრიშაშვილის ხსოვნას

გამოთხოვება

ღრმა მწუხარებითა და გულისტკივილით გამოეთხოვა 7 აგვისტოს ქართველი ხალხი ქართული პოეზიის უხუცესს წარმომადგენელს, გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს სახალხო პოეტს, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს იოსებ გრიშაშვილს.

იოსებ გრიშაშვილი — ჩვენი ლიტერატურის კლასიკოსების ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი და ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. სახელი თითქმის სამოცი წლის მანძილზე არის დაკავშირებული ქართულ ლიტერატურასთან, უგრიშაშვილოდ ძნელია მთელი საუკუნის ქართული ლიტერატურის წარმოდგენა, მან მშობლიური პოეზია გაამდიდრა ბევრი უკვდავი, ბრწყინვალე ქმნილებით, შთამაგონებლად უმღერა მამულს, ხალხს. ამავე დროს პოეტი დაუღალავად ემსახურებოდა ქართულ თეატრს, სწავლობდა და იკვლევდა ქართული ლიტერატურისა და თეატრის წარსულს, მოძმე საბჭოთა ხალხების კულტურული ურთიერთობის პრობლემებს.

იოსებ გრიშაშვილმა შვილის უნაზესი და უფაქიზესი გრძნობით, დიდი სიყვარულით უმღერა დედა-თბილისს, და თბილისმაც სიყვარულითვე უპასუხა ამ დიდებული სიმღერების ავტორს.

...მწერალთა კავშირის სახლის დიდი დარბაზი სამგლოვიაროდაა მორთული. ძაძებშია ჭაღები და კედლები. ცოცხალ ყვავილებში მაღალ პოსტამენტზე დგას კუბო იოსებ გრიშაშვილის ცხედრით. აქ, ამ დარბაზში, არაერთხელ აჟღერებულა პოეტის მშვენიერი ლექსები, მობიბლულა ათასობით და ათასობით მადლიერი მკითხველი. ახლა კი მისი ნიჭის თაყვანისმცემლები მგოსანთან გამოსათხოვებლად მოსულან.

დარბაზში ეღვრის სამგლოვიარო მელოდია... უწყვეტ ნაკადად მოდიან კუბოსთან თბილისის საწარმოთა მუშები, მოსამსახურეები, მეცნიერები, პედაგოგები, კულტურის მუშაკები, მოსწავლე ახალგაზრდობა, საბჭოთა არმიის მეომრები.

პოეტის კუბოსთან საპატიო ყარაულში დგანან მისი თანამოკალმენი — ქართველი პოეტები, მწერლები, მეცნიერები, თეატრის მოღვაწენი: ი. აბაშიძე, ს. ჭილაია, ბ. ჟღენტი, ი. ნონეშვილი, საქართველოს სახალხო პოეტი გ. ლეონიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნ. მუსხელიშვილი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები ა. შანიძე, ე. ხარაძე, გ. წერეთელი, გ. ჭიბლაძე, ა. ბარამიძე, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები ვ. ანჯაფარიძე, მ. ჭიაურელი, ა. გომიაშვილი, ა. მაჭავარიანი, საქართველოს სახალხო მხატვარი ლ. გუდიაშვილი და სხვები.

მათ ცვლიან სომეხი მწერლები, აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის და ქუთაისის მშრომელთა წარმომადგენლები. პოეტის დამკრძალავი კომისიის წევრები — აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. შინკუბა, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე შ. ბუხრაშვილი.

საპატიო ყარაულში დგებიან ამხანაგები: გ. დ. ჯავახიშვილი, პ. ა. როდიონოვი, რ. ი. ფრუიძე, შ. ა. დოლიძე, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. მ. სირაძე, ა. მ. ლაბახუა, ზ. ბ. გელდიაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ა. კვაჭაძე.

საყვარელ მწერალთან გამოსამშვიდობებლად კვლავ მოდიან მშრომელთა ახალი და ახალი ჯგუფები.

16 საათსა და 30 წუთზე იწყება სამგლოვიარო მიტინგი. საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ი. აბაშიძე, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. წერეთელი, საქართველოს სახალხო პოეტი გ. ლეონიძე დიდი მადლიერებით ლაპარაკობენ იოსებ გრიშაშვილზე — შესანიშნავ მწერალზე, ადამიანზე, მოქალაქეზე.

17 საათზე წყდება მშრომელთა მისვლა მწერალთა კავშირის სახლში. დგება გამოთხოვების უკანასკნელი წუთები. იოსებ გრიშაშვილის დამკრძალავი კომისიის წევრებს, ახლობლებსა და ნათესავებს გამოაქვთ კუბო პოეტის ცხედრით. წინ — წითელი ატლასის ბალიშებზე — სახელმწიფო პრემიის ლაურეატობის ნიშანი და შრომის წითელი დროშის ორდენი, რომლითაც იგი დაჯილდოებული იყო. სამგლოვიარო პროცესია მიემართება საქართველოს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონისაკენ. ათასობით მშრომელი გამოვიდა თბილისის ქუჩებში და მოედნებზე, რომ გამოეთხოვოს მხატვრული სიტყვის დიდოსტატს.

მთაწმინდის პანთეონში გაიმართა იოსებ გრიშაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი მიტინგი. იგი გახსნა იოსებ გრიშაშვილის დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარემ, პოეტმა-აკადემიკოსმა ი. აბაშიძემ.

დღეს — ამბობს საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ბ. ჟღენტი — უღრმესი გულისტკივილით ვეთხოვებით საქართველოს სახალხო პოეტს იოსებ გრიშაშვილს. იგი იყო ჩვენი დროის დიდი პოეტი, სამშობლოს დაუცხრომელი მომღერალი, მაღალი პატრიოტული შეგნების ხელოვანი. გრიშაშვილმა შეუდარებელი, მომაჯადოებელი ჰანგით იმღერა სიყვარულის, სიკეთის, სილამაზის დიდებული საგალობელი. პოეტმა სასახელოდ განვლო თავისი ცხოვრების გზა. იოსებ გრიშაშვილის სახელს სინათლის მარადიულ სვეტად დაადგება თბილისის მზე.

სიტყვას ამბობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. ჭიბლაძე:

— ძნელია იმ აზრთან შეგუება, რომ გარდაიცვალა უსაყვარლესი პოეტი იოსებ გრიშაშვილი. თუ ვინმეს გულწრფელად უმღერია სამშობლოსადმი, მეგობრობისადმი, ძმობისადმი, სიყვარულისადმი, მათ შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი იოსებ გრიშაშვილს დაეთმობა, როგორც ბრწყინვალე ქმნილებების ავტორს. ჩვენმა ლიტერატურამ დაკარგა უნიჭიერესი პოეტი, ჩვენ კი — გულწრფელი და უანგარო ადამიანი.

რესპუბლიკის თეატრალურ მუშაკთა სახელით გამოდის საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ვ. გოძიაშვილი, იგი ამბობს:

— შეწყდა დიდი პოეტისა და შესანიშნავი მოქალაქის გულისცემა, მაგრამ იგი იცოცხლებს თავისი დიდი საქმით, შესანიშნავი ნაწარმოებებით.

გულთბილ გამოსათხოვარ სიტყვას სომხეთის მწერალთა, თეატრის მოღვაწეთა და მეცნიერთა სახელით ამბობს მწერალი ვ. მნაცაკანიანი.

— საქართველოს დიდი პოეტისა და დიდი თბილისელის გარდაცვალების ცნობამ ღრმა მწუხარება გამოიწვია სომხეთის მწერალთა გულში, მისი დიდი, ნათელი ტალანტის ათასობით თაყვანისმცემელთა შორის.

სომხეთის დელეგაცია ჩამოვიდა თბილისში, რომლის მკერდზეც მიიცვალა გრიშაშვილი, ჩამოვიდა, რათა სომხეთის მწერალთა კავშირის და სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელით გამოხატოს ღრმა თანაგრძნობა, ძმურად, გულწრფელად გაიყოს ქართველი ხალხის დიდი მწუხარება.

სიცოცხლის მომღერალი პოეტი მოკვდა და მკვდარიც მწუხრში დარჩა, ავიდა მთაწმინდაზე, სადაც მხოლოდ ქართველი ხალხის სულიერი სიმდიდრის დიდი მომღერლები ცხოვრობენ, სადაც ყოველი ქვა, ყოველი მწვანე რტო უკვდავებას ეკუთვნის. აქ, ამ სიმაღლეზე, ძილუხიზლობენ საქართველოს ისტორიის ძველი და ახალი მწვერვალები. ამიერიდან იოსებ გრიშაშვილიც ჩაეგება ამ მწვერვალთა რიგში და იცხოვრებს უფრო დიდებული ბედის კანონებით, იმ ბედისა, მარადი დიდება რომ ჰქვია.

თბილისის ახალგაზრდობის სახელით საყვარელ მგოსანს გამოეთხოვა სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი თინათინ კაკუშაძე.

საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ წაიკითხა სამძიმრის დეპეშები, რომლებიც გამოგზავნეს ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს თითქმის ყველა კუთხიდან.

...მიტინგი დამთავრდა. [illegible] ანსამბლი ასრულებს ქალაქურ მელოდიებს, რომლებიც ასე უყვარდა იოსებ გრიშაშვილს...

კუბო ნელ-ნელა ეშვება საფლავში... წამოიზარდა ყვავილების მთა.

იოსებ გრიშაშვილის გაცილება მთაწმინდაზე.

«ნაბიჯები წვნიანში»

ერთი თარგმანის გამო

ჟურნალ „ცისკრის“ ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნდა მიხეილ მამულაშვილის წერილი „ჟამი სიცოცხლისა და ჟამი სიკვდილისა“. ავტორი განიხილავს ერიხ მარია რემარკის ამ შესანიშნავი რომანის ქართულ თარგმანს და წერილის პირველივე სტრიქონიდან ხოტბას ასხამს წიგნის მთარგმნელ ჯორჯანელებს: „ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში მსოფლიო ლიტერატურის მრავალი საუკეთესო ნიმუში ითარგმნა ქართულ ენაზე. სამწერლო ასპარეზზე მოევლინენ ნიჭიერი, უცხოური და ქართული ენების კარგი მცოდნე მთარგმნელები, რომელთა ენერგიული შრომით საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე მხატვრული ლიტერატურის თარგმანის დარგში შექმნილი უფსკრული ხარვეზი ნაწილობრივ მაინც ამოივსო“.

ჩავუკვირდით სტრიქონებს და აშკარა გახდა, რომ მ. მამულაშვილი ჭეშმარიტად აღფრთოვანებულია ჯორჯანელების ნამოღვაწარით: „ჯორჯანელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ თარგმანს დამოუკიდებელი, ქართული ნაწარმოების ფასი აქვს, ეს კი მთავარია კარგი თარგმანისათვის, — ამავე დროს მიუღწევიათ რომანის მხატვრული ღირებულების დაუკარგავად დედნის მაქსიმალური სიზუსტისათვის, რემარკის რთულ იდიომატიკას მოეძებნილი აქვს შესაფერი ქართული შესატყვისი, ყოველი წინადადება, ყოველი სიტყვაც კი პოულობს სათანადო ქართულ ექვივალენტს...“.

დასაწყისმა გაგვახარა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ სიტკბოს მალე გამოერია სიმწარე. ქვემოთ მოყვანილმა სტრიქონებმა კი ნამდვილად გაგვაკვირვა:

„რომანის ზოგიერთი ადგილი იმდენად ბუნებრივი, ძალდაუტანებელი ენით არის თარგმნილი, თითქოს ნაწარმოები ქართულად არის დაწერილი. სანიმუშოდ მოვიყვანთ ორ მაგალითს.

„გრებერს გაეღვიძა, გრუხუნს ყური მიაპყრო და ისევ დაძინება სცადა, მაგრამ ვერ მოახერხა...

ნათელი ღამე იყო, არ ციოდა. მარჯვნივ, ტყის უკან, აფეთქებათა ხმა ისმოდა. განათებული (უკეთესი იყო: მანათობელი — მ. მ.) მუშხუდები მედუხურებით ეცემოდნენ ბაღში და სინათლეს აფრქვევდნენ...“

აი კიდევ მეორე ნაწყვეტი:

„ყუმბარას სახლის გარდა არაფერი დაუზიანებინა. ბაღი დილის ნათელით (თუ რატომღაც? — გ. ქ.) იყო გაცისკროვნებული, არყის ხეებს სიო აშრიალებდა, ნარგიზები იქროსფრად ელვარებდნენ და ხეხილი ისე ყვაოდა, თითქოს თეთრი და ვარდისფერი ფარფალები დასტრიალებდა ზედ. მხოლოდ ბინდინგის სახლი იყო ნავარტყულად ქცეული და მისგან დარჩენილი ნანგრევები ბაღში ამოთხრილი ძაბრის პირას დახორავებულიყო, რომლის ფსკერზე მდგარ თხელ წყალში ცა ირეკლებოდა. გრებერი ერთ წამს გაშეშებული იდგა და ისე მისჩერებოდა ამ სანახაობას, თითქოს საკუთარ თვალებს არ უჯეროდა“.

ამ ორი მაგალითიდან, — განაგრძობს მიხ. მამულაშვილი, — ნათლად ჩანს, თუ როგორ უნდა ძალდაუტანებლად თარგმნა... აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ წინადადება: „ნარგიზები იქროსფრად ელვარებდნენ, თითქოს თეთრი და ვარდისფერი ფარფალები დასტრიალებდნენ ზედ“ უკეთესი იყო ასე გადმოგვეცა: თითქოს თეთრი და ვარდისფერი ფარფალები დაფარფატებდნენ. ქართული ბუნებრივი სტილი მხოლოდ ამგვარ კონსტრუქციას მოითხოვს. ცოტა მძიმედ ისმის ფრაზა: „...რომლის ფსკერზე მდგარ თხელ წყალში ცა ირეკლებოდა“. აჯობებდა სიტყვა „მდგარი“ სულ ამოგვეგდო“.

წაიკითხეთ „ბუნებრივი“, „ძალდაუტანებელი“ ქართულის ეს ორი „შესანიშნავი“ ნიმუში და სიმართლე გითხრათ, გაუგებარი რამ აირჩია მ. მამულაშვილმა, რომელმაც მთელ წიგნში ამ ორი „საუკეთესო“ მაგალითის გარდა სხვა ვერაფერი მონახა, თანაც ისეთები, რომლებიც უმალ ცუდი ქართულის მაგალითებად გამოდგებოდა, ვიდრე „მისაბაძ ნიმუშებად“, რაც თვითონვე აღნიშნა წერილის ავტორმა თავისი ნაწილობრივი ანალიზით, შეცვლილი და შესწორებული ლაფსუსების მოტანით, რომ აიძულა ეს კარგი მოქართულე ხოტბა შეესხა, „საუკუნის მოვლენად“ გამოეცხადებინა ის, რასაც რიგითი მკითხველი უთუოდ დაიწუნებდა.

მაგრამ გაოცება რა სახსენებელია, როცა სახტად დავრჩით თვითონ თარგმანის წაკითხვით.

ცნობილია, რომ ყველა სალიტერატურო ენის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია უხამსობათა სრული უკუგდება, მით უმეტეს ისეთი ენისა, როგორიც არის გერმანული, რომელსაც სამეტყველო ენაშიც კი არ გააჩნია საგინებელი სიტყვები. მერე მერე, ქართული სალიტერატურო ენა სრულიად უარყოფს მწერლობაში უშვერი სიტყვების ხმარებას. არა გვგონია მოიძებნოს ქართულის თუნდ ერთი მცოდნე, რომელსაც უხერხულობისა და აღშფოთების გრძნობა არ დაეუფლოს ზემოხსენებული რომანის ქართული თარგმანის წაკითხვისას. აი რამდენიმე ნიმუში: „ამ ერთი წლის წინათ ჯოგრიანად ვფსამდი, მადრევანაგით მივუშვებდი ხოლმე. — წამოიძახა მან მწარედ. — თავს კარგად ვგრძნობდი... გენიალური სათრობლავი გვქონდა!.. ახლა კი ისე ვფსამ, როგორც...“; „ჩემთვის კი ხელ ერთი იქნებოდა, როგორ მოვფსამდი...“ (გვ. 27). „მაგას წყალი არ გაუვა...“ (გერმანულშია: „klar“ — ე. ი. ნათელია, გ. ქ.) „მარტოოდენ ქუჩებლებს შეუძლიათ კიდევ მადრევანითვით ფსამა“. (გვ. 28); „მოდიან ჩვენი ძმები“ (გვ. 28); „ფედალამში“ (გვ. 36), „დაყმეგ“ (გვ. 33), „ეტურობ ნაჭყლებს“ (გვ. 91), „მესამე იმპერია მაგარი იყო თავისი სიმღერებით“ (გვ. 97), „როგორ ფიქრობ, სადმე ყავას ვერ გამოვიყვდებთ? — ნაღდად“ (გვ. 102), „მეგობრებო“ (გვ. 68); და სხვ.

წიგნი სავსეა ისეთი გამოთქმებით, რომელთაც მარტოოდენ ქუჩებსა და მოედნებზე დაყურებული უქნარებისაგან თუ გაიგონებთ. ამგვარი გამოთქმების რემარკისეული „სტილით“ ახსნა, „ფედალამშის“ და „დაყმეგ“-ის, ან „ჭაგრიების“ სალიტერატურო ენაში ხმარება აშკარად მოწმობს რემარკის სტილის უცოდინრობას, ქართული ენისა და მკითხველის უპატივცემლობას.

იქნებ სხვა მხრივ მაინც ვარგა თარგმანი? სამწუხაროდ, წიგნი იმდენად შეურგებლად გამართულ ქართულზეა, იგი სავსეა სტილისტური და ენობრივი შეცდომებით, ქართულისათვის უცხო გამოთქმებით. ამის დამადასტურებელ მაგალითებს ვხვდებით წიგნის ყოველ გვერდზე, ყოველ აბზაცსა და სტრიქონშიც კი. აი მაგალითებიც: „იანვრის მკვდრები ელაგნენ“ (გვ. 26); ბრძოლის ველზე მკვდრები კი არ ელაგა, არამედ ეყარა. „მკვდრის იქითება“ (გვ. 32) ძაღლის იქითობას ნაცვლად; „ახლა უკვე ხელებით აცლემდა (ე. ი. აცლიდა გ. ქ.) თოვლს“ (გვ. 33), მაგრამ უკვე გვიან იყო“ (გვ. 34), но было уже поздно-ს სიტყვასიტყვით თარგმანია. ქართულად კი ასეა: გვიანღა იყო; „ამას კარგა ხანი დასჭირდება, ბატონო ლეიტენანტო, — თქვა გრებერმა“ (გვ. 35). „თქვა“ რუსული сказал-ის პირდაპირი თარგმანია; თარგმანის მომამზადებლებს კი დავიწყებიათ, რომ ამ შემთხვევაში сказал უნდა ეთარგმნათ, როგორც „მიუგო“, „უპასუხა“ და სხვ. „თქვა“ და „მიუგო“ შეცვლით გამოწვეული გაუგებრობა წიგნში სასტიკად არის გაფანტული. „დიალ, ბატონო ლეიტენანტო!“ (გვ. 35); „დიალ“ კი არა, „დიახ“.

მიუხედავად იმისა, რომ წიგნს აწერია თარგმანი გერმანულიდანაო — იგი სავსეა ისეთი გამოთქმებით, რაც რუსულის პირდაპირი თარგმანია. მაგალითად: „საიდან იცი?“ (გვ. 39): откуда знаешь? უნდა იყოს — რა იცი? „მოაწყო სკანდალი?“ (გვ. 257) — устроил скандал; აჯობებდა აყალ-მაყალი. „კიდევ ცოცხალია?“ (გვ. 73), опять жив? — ჯერაც ცოცხალია? „საიდან ეს ყველაფერი?“ (გვ. 80): откуда все это; „რომლებშიც [illegible] არა მხოლოდ (не только — გ. ქ.) ნაცვალისა წარმოადგენდა დაზარალებულ მეგობრებისათვის, არამედ...“ (გვ. 154); ქართულად ეს წინადადება ასე იქნება: [illegible] კი არ იყო დაზარალებულ მეგობრებისათვის, არამედ... „მას სახეზე ფართო ღიმილი (широкая улыбка — გ. ქ.) მიეფინა“ (გვ. 166) ე. ი. სახე გაებადრა; „შენც არ გჯერა?“ (გვ. 186) — „и ты не веришь?“ უნდა იყოს: აღარც შენ გჯერა? „ხოლო ფრონტზე სრულიად არაფრის გულისთვის ხოცავენ ადამიანებს“ (გვ. 230); — а на фронте убивают совсем не за что; ფრონტზე კი ადამიანებს სრულიად უმიზეზოდ ხოცავენ. „უკვე გვიან არის“, (გვ. 304); — уже поздно — გვიანაა:

აი, ქართულ წინადადებათა სხვა „ნიმუშებიც“, რომელთა გარჩევა ყოველთვის არ არის მიზანშეწონილი:

„გრუხუნს ყური მიაპყრო“... (გვ. 45); ქართულად იტყვიან — ყური მიუგდო და თვალი მიაპყრო. „აქ იმდენი რამაა საფიქრალი ლოთობა აქ კი არა — აქ, სამშობლოში, მარტოოდენ ომის მიღმა“. (გვ. 48); „მაშინ მან ანაზდეულად დაიწყო ფიქრი“ (გვ. 49); „მოთამაშეებმა კარტები ბორცვზე დაალაგეს ფიცარზე“ (გვ. 60); „ღიმილი დაქლელ ტილოსავით აჭყდებოდა მას, მაგრამ ვერ გადაეღახა“ (გვ. 66). „მან გამოერია: ამიოდ ვიბრძვით, თვით იმდენად მისაღები სახეთ პირობებისათვისაც კი არ ვიბრძვით“ (გვ. 67). „მისგან გაიგონა ის, რისი აღიარებაც არ სურდა, ის, რისი მოფიქრებაც ხაზით (შინ ეჩვდა — გ. ქ.) სურდა...“ (გვ. 67). „ფარუხზმზმარმა ხელის ზურგით დაფხანა ნაჭრილობევის ადგილი“ (გვ. 68). „ეკლესიაში ყოველი გოჯი ფართობისა საჭირო იყო“ (გვ. 69); საყდარი სხვაა, ეკლესია სხვა! „მას აგურის ნატეხი მოხვედროდა შუბლში და მოეადგა მუქზე სისხლი, რომელიც სახეზე ჩამოსდიოდა შავად ჩანდა“ (გვ. 71) — და სისხლი, რომელიც სახეზე ჩამოსდიოდა მოკაიფე მუქზე შავად ჩანდა. „ნისლი სულ უფრო და უფრო დაბლა იწევდა და სწრაფად ძლიერდებოდა. იგი მიწვე ფურის რქის წვერზე წააწყდა, რომლისაც ადამიანები დაბმიყებოდნენ; იგი მათ ყელამდე სწვდებოდა, ზღვასავით ბორავდა და ცივად თუხთუხებდა“, (გვ. 78); „დანგრეული ღუმელი, რომელზედაც რამდენიმე სახანა ელაგა“ (იდო—გ. ქ.); (გვ. 78); „მას უკვე აღარ ჰქონდა შეგრძნება მიღების იმედი და ამის გამო წინასწარ არ ჰქონდა ხარჯი შეუქმნა. და ან კი რა ჰქონდა შესაყრდნო?“ (გვ. 79). „ისეთი რამე მე (მეც — გ. ქ.) შემემთხვა ორი თვის წინათ“ (გვ. 81); „ჩემი გერმანიაში ჩასვლა კი აუცილებელია“ (გვ. 91) — გერმანიაში ჩემი ჩასვლა აუცილებელია. „ხელები გააფრთხანა“ (გვ. 93), ე. ი. ხელები გაასუფთავა. „შემდეგ სულ სხვა ტონით განაცხადა, რომ ფიურერი მიუხედავად იმისა, რომ საშინლად დატვირთულია, მაინც ზრუნავს თავის ყოველ ჯარისკაცზე“ (გვ. 97); „ეს იყო ის, რასაც ელოდა. აი, აქ იყო ის“ (გვ. 101); „გაახსენდა დილის საუზმე სახლში, იმამდე“ (გვ. 102), ე. ი. გაახსენდა იმამდელი დილის საუზმე. „მასში იყვნენ [illegible] დაბერებული ხეივნები იყვნენ და მათ ბოლო აღარ უჩანდათ“ (გვ. 104); „განს კამკამა ცხელი წყლით დაიბანა“... (გვ. 107); „აგურებმა გაიხრაჭუნეს“, „გამტკაცებული სუნი გაიგონა“... „წინწამოწეული ფრონტონებით, წვეტიან სახურავებიანი და ფერადფერად წარწერებიანი სახლები. ისინი აღარ იდგნენ აქ“. (გვ. 109). „საფუძვლიანი და მოაჯირი გადარჩენილიყო, მაგრამ უაზროდ გამეჭედილიყო სიცარიელეში“ (გვ. 118) — „ფრთხილად შეავლო ხელი ხის ტანს“. (გვ. 118); ე. ი. ფრთხილად შეავლო ხელი ხეს. „ქალაქის კედლებზე, რომლებიც კნოპებით ან წებოიანი ქაღალდებით იყვნენ დამაგრებულნი“ (გვ. 123). „ბურძგნულიან თმაზე წითელი აბრეშუმის ბანტი ეკეთა“ (გვ. 123) ე. ი. გაბურძგნულ თმაზე ეკეთა ბანტი. „ყველაზე წინ (უპირველესად გ. ქ.) რა გაქვს განზრახული?“ (გვ. 130). „ერთხანს სარდაფი მოკუნტული სხეულებით სავსე კი არ ჩანდა, არამედ მასში კვლავ ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ“... (გვ. 148). „ლეგზიანის ფაისახლისა ერთთავად მათ ძუხსა და ჭორს უყურებდა“ (გვ. 152), ე. ი. თვალს არ აშორებდა... „ნათელი სივრცის ფონზე ხეები კამკამებდნენ“ (გვ. 164), — ქართულმა აქამდე „წყლის კამკამი“ იცოდა, „ხეების კამკამი“ კი ნაწვალები ქართულია. „სადამის ნიავი ამოვარდა“ (გვ. 166) — ნიავმა დაუბერა, ქარი ამოვარდა. „ელიზაბეთმა ვიღაც ქალიშვილს გაუცილა თვალი, რომლის ნათელი წინდები ცრიაქ წყვდიადში გამოკრთოდნენ“ (გვ. 167). „მხოლოდ ჰაწია კილიტები ძველებისა და ძვლის, უკვე დამპალი კუბოების ნარჩენები იყო გაზრილი კიდევ ტაროებში, თავის ქალები კი უკვე არა“ (გვ. 169). „ეშმაკის კერძმა შეიძლება აქ მოეყოლოსო; ვინ იცის, რა ამბავს დაიწყებს (დაუწყებს — გ. ქ.) მაშინ“ (გვ. 180). „ცხენი ყალყზე შედგა. პირიდან ქაფი გადმოსდიოდა“ (გვ. 184). „ასეთ შემთხვევებში ბოთლის წასახწერი გახანა მეტწილად აუცილებელია ხოლმე, ხოლო თუ ბოთლის თავი მოამტვრიეს, ზედ [illegible] აფეთქებით შეიძლება [illegible]“ (გვ. 185). ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ზემოხსენებული ორ წინადადებიდან თურმე „ორკესტრი“, რომ ცხენს ჰქონია პირი, ხოლო კაცს დრუნჩი! „ოფლის კამკამა წვეთები“ (გვ. 186); „ძაღლის ბეჭზე რამდენ აქვს მოსაწილეობა მიღებული“ (გვ. 217). ე. ი. — ძალიან ბევრი რამის მოსწრილეა. „გრებერმა უკან (უკანვე — გ. ქ.) დადგა (დადგა — გ. ქ.) ბოთლი“ (გვ. 218). „ყვითელი ჰაქლვა სულ დაბლა მიფარფატებდა ჭადის ბილიკის ზევით, რომელიც მიიკლაკნებოდა, [illegible] უნდა შეხვედრა“ (გვ. 222) ...„უკვე არაფრად არ ჩანდა“ (გვ. 224), ე. ი. არაფრად ჩანდა. „გაკვალული ბილიკი“ (გვ. 227), ე. ი. დატკეპნილი ბილიკი. „ორი კვირა მაქვს დარჩენილი მოფიქრებისათვის“ (მოსაფიქრებლად — გ. ქ.) (გვ. 233); „წელა გაისვა (გაუსვა — გ. ქ.) მოედანს“ (გვ. 234). „რამე უნდა გავშინჩოთ“ (გვ. 259). „ვესაც წინსაკლი მოსდე!“ (გვ. 261). „სისხლის მოელემარე (მდორე — გ. ქ.), მიმოქცევა“ (გვ. 266), „მხოლოდ ცოტა ხნის შემდეგ მოიფიქრდა“ (გვ. 287), „იგი კაცმა უნდა არც აცეგ, არც აცხელი და ადგილზევე დახვრიტა“ (გვ. 297), „ალმა, ეს (?) შენა ხარ? მე ვარ, — ამბობს (მიპასუხებს —გ. ქ.) იგი“. (გვ. 306). „ვინ გაგიგლათ თავი?“ (გვ. 326); ქართულად — ვინ შეგიხეთქათ თავი, ვინ გაგკენჭა და სხვ. „სახედვოში ორი საღეული დაიძახა. (ვინ?) რაც შეიძლება ჩქარად აღდევნა მათ უკან. (ვინ?) ფეხსაცმლებით არ ევვა (ვინ?), მაგრამ რამდენიმე მტრის გვამის შემდეგ კედლის ნარჩენს დაეჯახა (ვინ?), რომელიც ბაღში იყო ჩამოკიდებული (გადმოკიდებული — გ. ქ.) და მაშინვე ჩაიოვარდა“ (გვ. 364). „ელიზაბეტს ისევ ეძინა, ოღონდ გამოერკვა ძილის ბურანიდან, როცა გრებერი გვერდით მიუწვა, მაგრამ მაშინვე ჩაეძინა“ (გვ. 367). „სიკვდილი ყოველთვის გაუგებარია, თვით მაშინაც კი, როდესაც ვიოდენ ხშირად ვხვდებოდი“ (გვ. 376). „ბაღი უფრო დიდი იყო, ვიდრე გარედან იფიქრებოდა“. (წარმოიდგინებოდა — გ. ქ.) (გვ. 395). „საკმაოდ ზედაპირული (ე. ი. ზერელე — გ. ქ.) ადამიანები ვართ“ (გვ. 427). „როგორაა საქმე? — ჭკადად“ (გვ. 440). „რადგან იმას ჰკავს, რომ ჭკუიბას უნდა ჰქონდეს ადგილი“ (გვ. 465) უცნაური დასკვნაა!

აქ მოტანილი მაგალითების სიმრავლის მიუხედავად, ჩვენ ვერ შევძელით გვეჩვენებინა თუნდ მცირედი ნაწილი შეცდომებისა, დამახინჯებული ქართულისა, წინადადებების უვარგისი და არეული წყობისა, უგემოვნობისა. ჩვენი აზრით, ეს უკვე საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ „ჟამი სიცოცხლისა და ჟამი სიკვდილისა“ გამოქვეყნებული ქართული თარგმანი ის ნედლი მასალაა, რასაც მთარგმნელების დამატებითი შრომის შემდეგ უნდა გაევლო მეტყველი, ქართული ენის მცოდნე რედაქტორის ხელში.

როგორი გამოცდილიც არ უნდა იყოს მთარგმნელი, რარიც კარგადაც არ უნდა იცოდეს როგორც დედნის ენა, ისე ის ენა, რომელზედაც თარგმნის, მის ნაშრომს მაინც ესაჭიროება რედაქტორი, ე. ი. უცხო თვალი, ურომლისოდაც ყველა ლიტერატურული ნაშრომი მეტ-ნაკლებად დაუხვეწავი იქნება. ამიტომაც ზოგი გამომცემლობა ხშირად ერთ რედაქტორს აღარ სჯერდება და ცალკეულ წიგნებს ორსა და ზოგჯერ მეტ რედაქტორსაც კი უნიშნავს. მაგრამ ისეთი შემთხვევებიც ხშირია, როცა გარეშე რედაქტორის ავტორიტეტით დაიმედებული „შინაური“ რედაქტორი საქმეს ზერელედ ეკიდება, ხოლო მიწვეული რედაქტორი, რომელიც უშუალოდ პასუხისმგებელია ნაშრომზე, ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე, თავს ვერ გაართმევს საქმეს და „აკურთხებს“ ნედლ მასალას.

ასევე დაემართა ზემოხსენებული წიგნის რედაქტორსაც, რომლის შესახებაც პატივცემული მიხ. მამულაშვილი თავის წერილში აღნიშნავს: „აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შესავალი სტატია, „ერიხ მარია რემარკი“ (ციტატა შესწორებულია, რადგან ორიგინალში ჩახმარია „ერიკ“ — გ. ქ.), რომელიც წიგნის რედაქტორის ნოდარ კაკაბაძეს ეკუთვნის, საქმის ცოდნით, საინტერესოდ არის დაწერილი“. სამწუხაროდ, როგორც მაგალითებიდანაც ჩანს, წიგნის რედაქტორს ვერც „საქმის ცოდნას“ მოვუწონებთ, ვერც ქართულ ენასა და ვერც რემარკის ნაწარმოების გაგებას.

თუ რამ გამოიწვია ყველა ეს დასახელებული ლაფსუსი, ნაწილობრივ გასაგები ხდება, როცა [illegible] გის. ხსენებული წინასიტყვაობიდან მოვიყვანთ კონსტრუქციულად უვარგის წინადადებათა რამდენიმე მაგალითს:

„მეტწილად რემარკი ჩემს პაპანოის უზის ხოლმე“ (გვ. 5); უნდა იყოს: რემარკი მეტწილად ჩემს პაპანოის უზის ხოლმე.

„შავ ობელისკში“ შიშვლად, დაუფარავადაა ნაჩვენები მე-20 საუკუნის ევროპული კულტურის კრიზისი (?), სულიერ ღირებულებათა გაუფასურება და ფიზიოლოგიურ-გრძნობად მოთხოვნილება-სიამოვნებათა ფეტიშად ქცევა. მასში თვალნათლივაა დახატული ცივილიზაციის მომძლავრება კულტურის ხარჯზე, ადამიანის პიროვნების დაქვეითება, ტექნიკის, კომფორტის, ადამიანის, თუ შეიძლება ასე ითქვას (რასაკვირველია არ შეიძლება! — გ. ქ.), ფიზიკურ-ბიოლოგიური კეთილდღეობის საშუალებათა ზრდა ადამიანობის, ადამიანური მორალის, უბიწო, ხელშეუხებელი (ალბათ ხელშეუხებლის — გ. ქ.) სულიერი ღირებულების პატივისცემის არსებული ქრობის წილ“ (გვ. 21). კაკაბაძე ურევს ცივილიზაციის მნიშვნელობას, ლაპარაკობს ევროპის, ე. ი. საფრანგეთის, იტალიის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის და სხვ. ქვეყნების „კულტურის კრიზისზე“ მე-20 საუკუნეში, ე. ი. მიდის ისეთ დასკვნამდე, რასაც არც რემარკთან აქვს რაიმე საერთო და არც მარქსისტულ მსოფლმხედველობასთან. სტილსა და ენაზე აღარაფერს ვამბობთ.

„მიუხედავად რემარკის რომანებში გამოხატული ჭმუნვისა და შეძრწუნებისა, მის ნაწარმოებებში...“ (გვ. 7); უნდა იყოს: რემარკის რომანებში გამოხატული ჭმუნვისა და შეძრწუნების მიუხედავად... (ნაწარმოებებში გამოხატული ჭმუნვა და შეძრწუნება ისედაც არ ვარგა — გ. ქ.). „მოსამართლე ეკითხება კერნს, როცა შეიტყობს, თუ რა ძაღლური ცხოვრება აქვთ ემიგრანტებს, კიდევ რაიმესი თუ გწამთო“ (გვ. 7); ქართულად ხსენებული სიტყვები ასე უნდა დალაგდეს: როცა მოსამართლე შეიტყობს, თუ რა ძაღლური ცხოვრება აქვთ ემიგრანტებს, იგი კერნს ეკითხება — კიდევ რაიმე თუ გწამთო? „აქ ის ცოლს ნახულობს საავადმყოფოში, რომელიც მალე კვდება...“ (გვ. 12); სიტყვათა ამ არაქართული წყობის შედეგად ისე გამოდის, თითქოს საავადმყოფო კვდებოდეს. ქართულად კი ასე იქნება: საავადმყოფოში ის ნახავს ცოლს, რომელიც მალე კვდება. „ერთხელ ქუჩაში მიმავალი დამსვებულ ქალს წააწყდება, გული არ მოუთმენს და დახმარებას აღმოუჩენს, თუმცა იცის, რომ ეს მისთვის სახიფათოა, რადგან მას მაშინვე გაასახლებენ, როცა მის ვინაობას დაადგენენ“ (გვ. 14); ქართულად: რავიკი ერთხელ ქუჩაში წააწყდება დამსვებულ ქალს, გული ვერ მოუთმენს და დახმარებას აღმოუჩენს, თუმცა იცის, რომ ეს საქციელი მისთვის სახიფათოა, რადგან ვინაობის დადგენისთანავე მას გაასახლებენ. „ორიგინალური და გონებამახვილია ისევე, როგორც თითქმის რემარკის ყველა რომანი, „ტრიუმფალური თაღის“ ფინალი“ (გვ. 14). „გონებამახვილი ფინალი“ — აბა, რა საკადრისია! ქართულად კი ეს აზრი ასე გამოითქმება: „ტრიუმფალური თაღის“ ფინალიც ისევე გონებამახვილურია, როგორც რემარკის თითქმის ყველა რომანის ფინალი, „ნაციზმებმა ადამიანები ცხოველებად აქციეს ხანგრძლივი წამებითა და ტანჯვით, რომლებიც ცოტაოდენი სიცოცხლისათვის მზად არიან დათმონ ადამიანური ღირსება“ (გვ. 15). ჯერ ერთი, ამ წინადადებაში გატარებული აზრი მცდარია. ამის საწინააღმდეგო აზრი კაკაბაძეს ჯერ კიდევ მე-7 გვერდზე აქვს გამოთქმული: „რემარკის გმირები არასოდეს არ ეშვებიან პირუტყვის დონემდე, ყოველთვის ინარჩუნებენ ადამიანურ ხასიათს“ „არ ეშვებიან პირუტყვის დონემდე“ — რუსული გამოთქმაა: не опускаются до уровня животных. ხოლო „ადამიანური ხასიათი“ უხეირო გამოთქმაა. ყოველთვის ინარჩუნებენ ადამიანობას, ადამიანურ სახეს, ადამიანურ იერს, ადამიანობის ნატამალს და სხვ. — მეორე, ქართულად ეს წინადადება ასე უნდა გამართულიყო: ხანგრძლივი წამებით და ტანჯვით ნაციზმებმა ადამიანები აქციეს ცხოველებად, რომლებიც... „მას კლავენ პაულ ბოიმბერეთი ომის მიწურულში“ (გვ. 19). ქართულად: პაულ ბოიმბერგით მასაც ომის მიწურულში კლავენ.

„რემარკს ბევრი უმოგზაურია და ბევრი რამ უნახავს, ის საინტერესო თანამოსაუბრეა და თავისი ქვეუმაზვილობით (თუ გონებამახვილობით? — გ. ქ.) და [illegible] ქმრით, აგრეთვე საკუთარი თავისადმი მიმართული ირონიით, [illegible] ხიბლავს და იპყრობს გარშემო (ირგვლივ — გ. ქ.) მყოფ ადამიანებს. მაგრამ მისი როგორც ახალგაზრდობის, ასევე ხანდაზმულობის ეს პორტრეტები მხოლოდ გარეგნულ პორტრეტს წარმოადგენენ. გაცილებით საინტერესო და მრავალისმეტყველია რემარკის „შინაგანი“ პორტრეტი, რომლის მოხაზვა უმთავრესად მის ნაწარმოებებზე დაყრდნობითაა მოსახერხებელი“ (გვ. 6).

თუკი არას ვიტყვით პირველ წინადადებაზე, რომელიც სხვას კიდევ სჯობს, მეორე წინადადების აზრი ქართულად ასეთნაირად უნდა გამოითქვას: რემარკის როგორც ახალგაზრდობის, ისევე (და არა „ასევე“ — გ. ქ.) ხანდაზმულობის დროინდელი ეს იერი და ხასიათი მარტოოდენ მის გარეგნულ პორტრეტს ასახავს. გაცილებით საინტერესო და მრავალისმეტყველია მწერლის სულიერი სამყარო, რომლის გაგებაც უმთავრესად შესაძლებელია მისი შემოქმედების შესწავლით.

ცნობილია, რომ წერტილიდან წერტილამდე გამოხატულ აზრს ჰქვიდება წინადადება, რომლის ორი ძირითადი ატრიბუტია ქვემდებარე და შემასმენელი. აი, წინასიტყვაობის ავტორის კიდევ ერთი წინადადება: „უამრავი გაჭირვება, განსაცდელი და ტანჯვა გადაიტანა“ (გვ. 6). ვინ? სად არის ქვემდებარე? „...რაც ბრბოში სიმპათიებსა და ნდობას ღრავს...“ (გვ. 7). „რემარკის მთელ შემოქმედებას მსჭვალავს თანამიმდევრული ანტიმილიტარიზმი და მშვიდობის მოყვარობა“ (გვ. 7). „შემოქმედებას მსჭვალავს“ უხეიროდ ცუდი ქართულია. ამ აზრის გამოსახატავად უამრავი გამოთქმა არსებობს.

„აქ ნაჩვენებია ომიდან მობრუნებული „დაკარგული თაობის“ ფართხალი ყოველდღიური ცხოვრების კალაპოტში ჩადგომისათვის“ (გვ. 10). ძნელი გასაგებია: „დაკარგულ თაობას“ თვითონ უნდა „კალაპოტში ჩადგომა“, თუ „ყოველდღიური ცხოვრება“ უნდათ კალაპოტში ჩააყენონ?

„ეს საკმარისია იმისათვის, რომ ისინი შეშინებით არ „მოკვდნენ“ (გვ. 11). [illegible] სკოლის მოსწავლემაც რომ ჰკითხოთ, ისიც კი გა-

(დასასრული მე-4 გვ.)

ალექსანდრე ტვარდოვსკი

შორეთს იქითა შორეთი

ბავშვობის მეგობარი

მე ძმაკაცობის ჟღერი, ჯავარი,
სინდისი მიბმობს, ვამცნო ქვეყანას,
ერთი უცნობი ბედის ამბავი,
რომელიც ჩემს გულს გზად შეეყარა.

არა, არ ვამბობ, თითქოს სიამეს,
ან შვებას მგვრიდეს მისი ხსენება,
მაგრამ მე ჩემსას ვიტყვი სიმართლეს,
წინ რომ ვიცქირო აუცდენლად.
არ ბრწყინავს დიდი დამსახურებით —
სულ სხვა თარიღი აზის დამღისებრ...
ძველ მეგობარზე გესაუბრებით,
ჩემს ტოლ ყმაწვილზე,
ნამდვილ ძმაკაცზე.

როდეღ ერთად ხბორებს ვწყემსავდით,
ტყისპირას ვწვავდით სოკოს შიშინას,
ვიყავით ორნი ერთხანს ძმებსავით,
ყველგან—სკოლაშიც, კომკავშირშიაც.
ბოლოს სხვადასხვა გზებით გავწიეთ,
კი არ გავწყვიტეთ ძმობის სიმები.
და რომ ვიხსენებ ჩვენს სიყმაწვილეს,
ის მჯობდა ძალით, გულის სიკეთით.

თუ არასოდეს ჩამოდგებოდა
დღე განშორების, როგორც შავბედი,
მას ვახსენებდი პირველ მეგობრად
და მარტო ამით ვიამაყებდი.

მაგრამ ჩემს უკან წლები ჩავლილან
და ყველა დროზე სიუკეთესო —
იმ მეგობრობის დანაშაულად
წამოყვედრება ყველას შეეძლო...

ტყეს რომ ჭრიანო, ცვივა ნაფოტიც,
მახსოვს, ვიცოდა სიბრძნედ ანდაზა,
მაგრამ ასეთი „საქმე“ მადლობით
დღემდე არავინ არ დაავსა.
რა გაეწყობა!
გამცნობთ ეს ლექსი
ამბავს დაბლართულ კვანძის გარეშეც—
შემხვედრის გვერდით ჩვენი ექსპრესი
იდგა ტაიგის სადგურ ტაიშეტს.
მატარებლები იდგნენ მეზობლად.
ხალხი სხვადასხვა ხვედრით, საქმენით,
ერთი მეორეს ჰგრეტდა, ესროდა
ზვიად, ქედმაღლურ მზერას
სარკმელით.
წინ და პირუკუ ერთი მარშრუტის
იდგა ორივე ერთი განრიგით.
აქეთ „მოსკოვი — ვლადივოსტოკი“,
„ვლადივოსტოკი — მოსკოვი“ იქით.

ბაქნისკენ გამწევ ხალხის ხმაური,
ნაკადს გავყევი რბილ ვაგონიდან.
რაიგაზეთის და გაზაფხულის
მარწყვის პარკულით უცდა მომინდა.
დაღვინილები ბრბოში შესვლისას,
ქვეყნის ამ ნაკვეთს მზერას მივაპყრობ,
ვიდრე სიმაგრის ნიშანს შევნიშნავ
სიტყვებში: „Багажъ“ и
„Кипятокъ...“

მიყვარხარ, როგორ არ ვაღიარო, —
ბევრს ვმგზავრობ, სული ვერ ამოვავსე
შენით, მგზავრული, მრავალდღიანო
ყოფავ სადაც და სწრაფო ზომაზე.
მიყვარს ვაგონი, გაჩერებები
და რაც კადრებად გარბის სარკმელში,
თვითდამზადების სად გაქცევა
გზად — საშუალო ბაზრის ფასებში.
ასე ნებივრად, დარდიმანდივით
დავდივარ. მალე დასტვენს სასტვენი.
უცებ ტკივილი დენად დამივლის,
თითქოს ავენთო ძველი ნატკენი.
ვისაც ხსოვნაში ჩემს მოყვასთაგან
ვთვლიდი წასულად და დაკარგულად,
ვინც მეგონა სადღაც საზღვარს
გადაღმა,
უცბად გაცოცხლდა, აღდგა
ზღაპრულად.

მე არ შემშლია.. თუმც შეცვლილიყო
წლებით დაეცვა სხვა ტანსაცმური,..
მიცნო. დაიძრა ჩემსკენ. ის იყო,
მხრებით გაჰპო ტალღა სადგურის.

შიშის ნაძრახის გრძნობას დავეძებდი,—
წუთით დამთრგუნა ვეღარ შემეძლო
უბედურების ძველი ავბედის...
მაგრამ ერთმანეთს უკვე ვარყევდით
მხრებით, ხელებით...
— მე. შე ძველო!
—„შე ძველო“! — ეს თქმა, ეს
მეტსახელი,
ეს ფუძე სიტყვა სიყრმის მეგობრებს
თვითონ მოგვადგა წარმოსათქმელად
და დავაცქერდით ერთიმეორეს.

ისევ ის იყო, როგორც მახსოვდა,
მაგრამ ჭაღარა, თვალებდაღლილი..,
ჩასმულ კბილების კრთომას სიცილთან
ზედ ერგო სწორედ ეს მეტსახელი.

თუმც არ ვყოფილვარ იმ ზღვარს
გადაღმა,
მეც ვარ საკმაოდ ნაცოდვილები,
მეგობარივით წლებმა დამღალა,
ხალი შემომრჩა მარტო კბილები.
—დავბერდი.
[illegible] მწველი.
მალე სასტვენის ხმაზე შევყრებით.
დგას განშორების ჩვეულებრივ წელი
და ხუთი წუთი ჩვენი შეხვედრის!
აი, ჩვენს შორის ჩადგნენ უცებად
მთები, ზღვები და შორი ტყეები
და წლები, წლები, წლობით იცნება,
გარჯით, სიკვდილით, იმის დღეებით—
მისი და მთელი ჩემი ცხოვრება...
— აბა, ხომ ხედავ. შეგხედე ხვალსაც,
ჯანზე როგორა ხარ, ძმაო, რას შვრები?

— როგორც მიყურებ, ვცოცხლობ,
თუმცადა
არ ვარ უმცველად ყოფნას ნაჩვევი.
რაც უნდა იყოს, მაინც ნამდვილი
მგზავრი ვარ და მაქვს ჩემი ადგილი.
— შინისკენ?
— სახლი სად მაქვს, როგორ ვთქვა...
— ჰო, მაპატიე, რატომ ვახსენე.
— კიდეც ახსენო, მერე რა მოხდა,
ძველ სიმღერაშიც სწორედ ასეა
გამეგება სიტყვები გასაოცარი:
ცოლი სხვას ნახავს და არც გახსენებს,
დედა კი— დედა თუკ ცოცხალი...

— შენ იქით, მე კი უკან ამჯერად...
— აი შეხვედრა! წუთით გადმოვედ,
უცებ შეგხედე, ვიცქირ, არ მჯერა,..
არ სწევ?
— მერე და როგორ ვაბოლებ.
თუმცა შეხვედრა არის ხანმოკლე,
ვდგავართ, გათავდა თითქოს
სათქმელი.
უპაპიროსოდ რა შეგვაკლებს,
ვიდრე დასტვენს ცვლად სასტვენი.

უკეთ ველოდით მას ორთავენი,
როცა ჩავყვენმა ის ხმა კაეშნად
ნებას გვაძლევდა შორი მთავარი
ერთმანეთისთვის ხელი გაგვეშვა.
—დროა!
— ნახვამდის, მჯერა დარეკავ.
— მომწერე. შენი ხმა მომაწვდინე!..
წარმოვთქვი თავის გასამართლებლად.
როცა სულს ტვირთი ჩამოეცილა.
და ტაიშეტის გზაგასაყარზე
ვაგონი უკვე იყო დაძრული.
მან ჰაზრიერი ძალით აღსავსე
სალამი მიძღვნა ჯარისკაცური.
ხუმრობისკვარი ვენტი კეთილი
ელვისებურად თვალს მოეფარა
და უხმო დარდი ჩამოლეენილი
გულის სიღრმეში ჩამომეპარა.
მორჩა. აღარ ჩანს ის გაჩერება.
ვეღარ გიხილავ მე ამ ალაგას,
არც მიელინების მისდა ხსენება.
ოღონდ ვაგონში ძმასთან გადამსვა.

ასეთ ნაღვლიან ამბის წყალობით,
საპირისპირო ორმაგ სისწრაფით,
ჩვენ ორ ბოლოში მივიჩქაროდით,
კიდეებს მოწოლილ ქარის პირაქეთ.
მირბოდა. ხვეტა ნიშანგაწყვეტილი,
თითქოს ბრუნავდა სივრცე სარკმელთან,
თან იზრდებოდა გავრის მანძილი
აღმოსავლეთით და დასავლეთით.
ყოველი წამი ახალ გეზივით
ჩანდა აქ"გზაზე. შორს რომ გვეძახდა...
და იმავე დროს სულით შეზრდილი
თან მახლდა, ვინც დღეს გამომეცხადა.
ჩემს ქვეშ ისევე რელს-გზებთან
გზა გაშლილიყო ცივი ფოლადის.
უკანაც სივრცე იდგა იგივე
ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდის.
ერთი ვაგზლიდან სხვა ვაგზალამდე
კვლავ ეწოვებოდა მკერდი მწუხარე
ტაიგის წვედაობს, გაშლილ
ტრამალებს,

ბაიკალს და კვეთდ ჩვენი ურალის.
დედა-ვოლგისკენ აღმოსავლეთით
მიიჩქაროდა ზუსტად ვიდაზე.
ძმასთან მხარიმხარ ვიდექ სარკმელთან,
მასთან შეხვედრის დღლით აღსავსე.
ერთი დღის შემდეგ მეგობრითურთ
ფანჯრის რაფასთან ვდგებით ღამიან,
თითქოს მოსკოვის შემოგარენთა
ნახვა მწყურია დიდი ხანია.
აღარ მინახავს გულის ფანცქალით.
ვერიც ვოგზლის ხალხებს ტილებში,
იმავერის ისევ ჩემი გზა-კვალით
შორს, შორს მეცქირდა —
აღმოსავლეთში.

დამშვიდობება ძმასთან მოულოდნელ
თუ ვერ შევძელი, ვინ გაიოცებს,
გაუცერებელ, მწარე იარად
რომ მიყენებდა დღეხან
სიცოცხლეს.
თან მახლდა გულის ცოცხალ ნაწილად,
როგორც ვარამი, ცეცხლი ფარული,
წლებს არ ძალუძდა, რომ გაეწირა,
კედლით გაყო მძლე სიყვარული.
არ ვყოყოჩობდი სხვაგვარ იღბალით,
ვაჩვერებდი მის ბედის დუმილით.
კედელს იქითაც ძმასთან ვიყავი,
ძმის ბედს ვიყოფდი შავი პურივით.
შრომაში, გზაში თუ ლაშქრობაში
ვერ მაცილებდა მისგან შორეთიც,
ვიყავი ფიქრით, ვით ბავშვობაში,
მე მასთან და ის ჩემთან—ყოველთვის.
ყველგან მხარდამხარ მედგა იმედი,
ქვეყნად ყველაფერს შევხაროდა
და კრემლშიც ჩემი ერთი ბილეთით
თანაწორ სტუმრად ჩვენი იარა.
შვილმა ჰერი და ლხინი ქვეყნისა
მიიღო, როგორც ხვედრი პირადი:
ომი და ზეიმი გამარჯვებისა.
დღესასწაულ დღეთა საქმე დიადი,
მწამდა, — ყოველდღე, ყოველ საათში
გულწრფელი ერთი მან სიყვარული,
და რაც შევძელი, აბა ამაში
რა შუაშია ჩვენი მამული.
ცხოვრობდა ქვეყნის მაღალ იცნებით
ხალხს მიყვეთოდა და დაჩაგრული.
მის მწარე ბედში, დამცირებით,
არც ხალხს მიუძღვის დანაშაული.
გზაზე ჩაიარა დღეც და ხალამიც,
სარკმელთან უკვე ღამე ჩამუქდა.
ის წუთი მწველი, თანაც საამო
სიცხისნაირად ჭანში ჩავუბდა.
მატარებელი კვეთდა სივრცეებს.
და ეს მოთხრობა, განა იქმნება
გულში ფეიქავდა. მისთვის ვიხსენებ.
გვერდის აქცევას არ მაქვს უფლება.
რომ გამოვტოვო, განა იფარგებს
და არც ავადრებს გული პოეტის.
ჩემი პირადის მიმხობს სიმართლე,
მისი ერთგული ვიყო ყოველთვის.
მცირე დრეასიც ამ სიმართლესთან
ვერ ათხანდა ჩემი სათქმელი.
მე დავამთავრებ, რაც მეძლება,
გზას რომ შეუვალ თვალი ნათელი.

თარგმნა ოთარ ჭელიძემ.

---

* ოთარ ჭელიძემ დაამთავრა ტვარდოვსკის პოემის „შორეთს იქითა შორეთის“ თარგმანი, რომელიც წელს წიგნად გამოვა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში“. ვბეჭდავთ პოემის ერთ-ერთ თავს.

თანამედროვე
რუსული
პოეზია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკო ბაბურია ომისა და მშვიდობის დღეებში

რომანი „ფილმის დასასრული" უკანასკნელი ნაწარმოებია ლენინგრადელი მწერალი ქალის ჟანა გაუზნერის შემოქმედებითს ბიოგრაფიაში. ავადმყოფობამ და სიკვდილმა არც მკითხველთა აზრის გაგება დააცალა ავტორს და არც ნაწარმოების დამთავრება. რომანის დასრულება და რედაქტირება ჟანა გაუზნერის დედას, ცნობილ პოეტ ქალს — ვერა ინბერს ხვდა წილად.

ახლახან ეს წიგნი 65 ათასიანი ტირაჟით გამოიცა. ნაწარმოები აგრძელებს ერთი მეტად მნიშვნელოვანი თემის დამუშავების ავტორისეულ ტრადიციას — რომანში აღძრულია ინტერნაციონალიზმის პრობლემები. მაგრამ ამ ნაწარმოებში მოქმედება საფრანგეთში კი არ მიმდინარეობს, სადაც ახალგაზრდობა გაატარა ჟანა გაუზნერმა, არამედ საქართველოსა და სომხეთში. წიგნის წინასიტყვაობაში დ. გრანინი წერს: „მწერალს თავისი გმირებივით უყვარს კავკასია, მისი ზნე-ჩვეულებები და ბუნება". აქ პერსონაჟთა ახალი ცხოვრების ფონზე ჩვენს წინაშე ნათლად იშლება ბედი და ხასიათები ახალ ფილმზე მომუშავე ექსპედიციის წევრებისა.

რომანის პირველი თავების გაცნობისას შეიძლება მკითხველი შეცდეს, რადგან ნაწარმოებში გაშლილი სიუჟეტური ქარგა და სიტუაციები მოძველებულად მოეჩვენება. და მართლაც, ვინ შეიძლება დღეს სერიოზულად იფიქროს იმაზე, რომ დაწეროს რომანი „სიყვარულის ცნობილ სამკუთხედზე", დაოჯახებული ხანშიშესული კაცის ფიქრებსა და ეჭვებზე, რომლის დასასრულიც თავიდანვე ცნობილია. ეს გარემოება ნათელია ყოველი გამოცდილი და გამოუცდელი მკითხველისათვის.

მაგრამ „ფილმის დასასრულის" კითხვისას საჭირო არ არის ნაჩქარევი დასკვნების გამოტანა. ავტორის მანერის ტრადიციულობაზე ფიქრმა შეიძლება შეგვაცდინოს. რომანის კითხვისას თანდათანობით ცხადი ხდება, რომ ფაბულა თავიდანვე არც თუ ისე გამიზნულია. რომანის ეს ერთგვარი პირდაპირი ხაზი მხატვრული ხერხია, რომლის საშუალებითაც სრულყოფილად ჩნდება გმირთა ზნეობრივი სახე. კირა ანდრონოვა, გადამღები ჯგუფის ადმინისტრატორი, ცნობილი რეჟისორ-ოპერატორი მესატოვი, მისი მეუღლე ირინა და სწავლული აგრო-ფიზიკოსი ბედის კარნახით იძულებული ხდებიან გადასწყვიტონ „პირადი ამოცანები", და, ჩაფიქრდნენ ცხოვრების პრინციპებზე, გაარკვიონ ადამიანებთან დამოკიდებულების საკითხები. ახალი ფილმისათვის ბრძოლა, რომელსაც საკუთარი სცენარის მიხედვით იღებს მესატოვი, აიძულებს მას უფრო დაკვირვებით დააცქერდეს მის ირგვლივ შემოკრებილ ადამიანებს, განსაზღვროს თავისი მისწრაფებები ხელოვნებასა და ცხოვრებაში, რის მისაღწევადაც საჭიროა მეტი აქტიურობა, მიზანსწრაფულობა და, რაც მთავარია, ბოლომდე თანმიმდევრულობა. რომანში მესატოვის გამოჩენისთანავე სიმპათიით ვიმსჭვალებით მის მიმართ. ეს პიროვნება აღსავსეა ადამიანებისადმი, მათი აზროვნების, სინდისისა და ნებისყოფისადმი რწმენით. ამიტომაც იგი ბევრი ადამიანის გულს ახიდავს და ცხოვრების ნამდვილ გზაზე აყენებს იმათაც კი, ვინც დაკარგა ეს გზა. მესატოვი ინტერესიანი ცხოვრებით ცხოვრობს. იგი იბრძვის ადამიანის პატივისცემისათვის, იბრძვის ეგოცენტრიზმსა და ეგოიზმს და არასოდეს კომპრომისზე არ მიდის, მაგრამ არც ცხოვრების გზაზე წამოჭრილ სირთულეებს გაურბის. იგი მუდამ კეთილ საქმეს აკეთებს. ეს მესატოვის ცხოვრების პრინციპია. და აი, სწორედ ამ დროს შეეჯახება იგი ლიდსა და მოულოდნელ გრძნობას. მესატოვი შორს არის რიგორიზმისაგან — ყველაფრის გაკეთება და გადაწყვეტა მას არ ძალუძს, მაგრამ სამაგიეროდ იცის სამოქმედო გზა, დღეს იცის ხვალ როგორ უნდა განახორციელოს დიადი მოქალაქეობრივი იდეალები.

მესატოვს თავისი კრიტერიუმი აქვს. ეს კრიტერიუმი მისთვის საზომია ყოველგვარი ზნეობრიობის შეფასებისას. რომანის ერთ-ერთ დასაწყის ეპიზოდში მესატოვი ჰყვება პატარა იგავს მგზავრზე, რომელიც მაღალ ხეზე ავიდა და შორეული ადგილები დაინახა. როცა მგზავრი ხიდან დაეშვა, საშინელი შიმშილი იგრძნო. მერე მან ნახა, რომ დიდი ხის ჩრდილში ვაშლის პატარა ხე ხარობს, მაგრამ ნაყოფი ძალიან ცოტა ასხია. „ხეო, რათა ხარ ასე პატარა?"—კითხა მგზავრმა. „შენც ხედავ რა წვრილი ნაყოფი მასხია, უბრალო ვარ, იაფიც ვღირვარ, ვის ვჭირდები?" უპასუხა ხემ. „მე— მიუგო მგზავრმა —შიმშილით სული მხდება". „მაშ მიმირთვი, ღმერთმა შეგარგოს, მე უბრალოდ და უხმაუროდ ვცხოვრობ" —უთხრა ხემ.

— მაშ დავლიოთ უბრალო, მაგრამ სასარგებლო ნაყოფის მომცემი ხის სადღეგრძელო, — დაამთავრა თავისი თხრობა მესატოვმა.

მესატოვს ეს იგავი ოდესღაც კეთილმა კაცმა — ნიკო ბაბურიამ მოუთხრო. ნიკო ბაბურია უბრალო და ნათელი კაცია, კრისტალივით წმინდაა მისი საქციელი, მისი ყოველი აზრი. არც ის არის შემთხვევითი, რომ მისი ნაამბობი იგავის აზრი ასე ახლოს არის ვაჟა-ფშაველას სტრიქონებთან.

მთაო, რად აგრე მგულდიდობ,
ცერად დაჰყურებ ბარსაო?!
რადგანაც ძირით გიცქერის,
მით არ უყადრებ თავსაო?

. . . .

შენი ძმა არი ბარიცა,
სოფელ-ზაფხულ ბარაქიანი,
გმირთ სისხლით შეღებილი აქვს
ველები ბალახიანი.

ერთი-ერთი ასეთი გმირი იყო ნიკო ბაბურია. ლენინგრადის ბლოკადის დღეებში მოყინულ გზაზე დაჰყავდა მას ავტომანქანა, უხმაუროდ ასრულებდა თავის მეომრულ ვალს: როცა ფაშისტების ავიაცია ბომბებს უშენდა, დაჭრილმა მანქანის საჭე როდი გაუშვა ხელიდან, პირიქით სიჩქარეს უმატა, რათა დროზე მისულიყო იქ, სადაც ხალხი ელოდა. მისთვის სამხედრო და ადამიანური ვალი ერთმანეთისაგან განუყოფელი იყო. დიდი მხატვრული სიმართლის დამტევია ის ეპიზოდი, სადაც ნაჩვენებია, თუ როგორ მიაქვს ნიკო ბაბურიას ლენინგრადის დამშეულ ბავშვებისათვის მზიური საქართველოდან გამოგზავნილი მანდარინის ყუთები. ცხადია ამ დეტალში არის გარკვეული აზრიც — ბაბურია იბრძოდა, იგი ყოველ წუთს გრძნობდა მიზანს, იბრძოდა იმათ წინააღმდეგ, ვინც ხელყო ადამიანთა მშვიდობა და ბედნიერება. იგი ძალიან გაოცდებოდა აბსტრაქციულ ჰუმანიზმზე რომ დაეწყოთ ლაპარაკი, როგორ შეიძლება გიყვარდეს ის, ვისაც ადამიანები სძულს —იკითხავდა მაშინ ბაბურია. მაგრამ იგი არცერთი წუთითაც არ დაფიქრდება, ისე მოჰკიდებს ხელს ნიჩაბს და დანგრეული სახლის ქვეშ მოქცეული გერმანელი ბავშვების განთავისუფლებას დაიწყებს.

ნიკო ბაბურია რომანში შემოდის, როგორც მომავალი, როგორც სიმბოლო მშვიდობისა და მეგობრობისაკენ ადამიანთა მისწრაფებებისა, რომელიც სილამაზესა და სიკეთეზე იქნება დაფუძნებული. ომის შემდეგ იგი უბრალო კონდუქტორია, და მთელი თავისი ცხოვრებით, ყოველი სიტყვითა და მოქმედებით ადასტურებს, რომ პირადი ბედნიერება მხოლოდ მაშინ მოდის, როცა ადამიანთა სიხარულსა და ტკივილებს უდგეხარ მხარში. იყო ისეთივე ბედნიერი როგორც ნიკო ბაბურიაა, ეს იმას ნიშნავს, რომ დღესვე მზად იყო, მთელი შენი ენერგია მოახმარო იმ ადამიანთა სიხარულს, რომლებიც შენს ირგვლივ ტრიალებენ. ეძებეთ და აღმოაჩინეთ ახალ მეგობრებში მდიდარი და ნათელი სამყარო, და თვითონვე გახდებით მდიდარი და ბედნიერი —ამბობს ნიკო ბაბურია. ეს უბრალო ჭეშმარიტება ესმის მესატოვს. ამის შეგნება ეხმარება ცხოვრების გზაზე სიარულში, ეხმარება მუდამ ნიკოსა და მისი მეგობრების გვერდით იყოს. ეს მოვლენა ყველაფერს არ წყვეტს ცხოვრებაში, მაგრამ იგი უფრო საინტერესოს ხდის ყოფას, მუდამ გვახსენებს თვალებს, რომლებიც ყურადღებას აქცევენ ჩვენს ქცევას. კეთილი და მომთხოვნი ნიკო ბაბურიას თვალებს, იმ ნიკო ბაბურიასი, რომელიც დღეს ჩვენს შორის ცხოვრობს.

მიხეილ ზავერინი

საგაზაფხულო გამოფენის ექსპონატებიდან



სერიიდან — „მშვიდობიანი გაზაფხული". მხატვარი ეკ. ბაღდავაძე.

ლადო სულაბერიძე

ლექსები



ზედაზნიდან

აქედან ჯერ არ გადამიხედავს,
ძირს სხვა მთებია თუ სხვა მდელოა?!
ჩანს ქონგურები ნაცნობ ციხეთა,
მაგრამ ეს სულ სხვა საქართველოა.

აქედან ვეხმობ ახალ პოეტებს,
ჯადოსნურ ფერთა ახალ ხელოვანთ.
და საქართველო,
ჩემო სამშობლო,
აქედან სულ სხვა საქართველოა.

ახალგაზრდების გუნდები მახლავს,
გავეყრები ამათ ლელოში.
სხვა საქართველო ვიხილე ახლა
აქედან მშობელ საქართველოში.

სხვა ფერი დამხვდა სადაც წავედი,
ო, რა პატარა მთა და მდელოა.
რამდენიც არის გადასახედი
თურმე იმდენი საქართველოა.

გვიანი მთვარე

ბოლოს ამოდის გვიანი მთვარეც.
რა დროს ძილია!..
მთვარემ ინათა.
ამ სოფლის ზარებს არავინ დარეკს,
ადრე სამრეკლო როგორ გრგვინავდა!

ზედაზნის მთებზე გვიანი მთვარე
წამს შეისვენებს...
ის დაღლილია...
ხმა რომ ამოაქვთ პატარა ქარებს,
არაგვისა და მტკვრის ძახილია.

ხორბლისფერ თმას და წაბლისფერ
თვალებს
ჩემს გარდა მეტი სადმე ელიან?!
წამოეპარა გვიანი მთვარე
მაღალ ზედაზნის წიფლნარს, თელიანს.

ის ალმართები ამოვიარე,
ღამე ეფარა ზეცას ლილიანს.
აპა, ამოდის გვიანი მთვარეც.
გზა განელილი...
გზა განელილი...

◆

შენი თვალითაც

ხარბად დავცქერი ჯვარსა და მცხეთას,
თვალს გავაყოლებ არაგვის ქარებს.
და ახლა შენი თვალითაც ვხედავ
არმაზის მთებს და ზედაზნის მთვარეს.

ობლად დგომოდე უცხო ტრამალზე,
ღია თვალები თოვლში [illegible].
მას მერე ქვეყნის მთელ სილამაზეს
მე ვხედავ შენი ორი თვალითაც.

ამ შვლისთვალება მთვარიან ღამეს
მე შენს საფლავზე დავდგამდი ძეგლად,
შენს სადღეგრძელოს ასულნი სვამენ,
შენ ჯვარისაწერი ბიჭი ხარ ეხლაც.

ყველაფერს შენი თვალითაც ვხედავ,
შენ ცეცხლს უკეთებ ჩემს დაღლილ
თვალებს,
ასე ვუყურებ ჯვარსა და მცხეთას,
ასე ვუყურებ ზედაზნის მთვარეს.

◆

გოგონა ქონგურზე

ე მაგ გალავნის ქონგურზე წინათ
მეციხოვნენი იდგნენ შუბებით.
მოულოდნელად მოსულა წვიმა,
ჩამოხვევიათ შუბებს ღრუბლები.

შენ დგახარ ახლა და მთვარის შუქზე
ცისა და მიწის თავსაყარს უმზერ.
რა არის იქეთ?!
დგახარ ცერებზე
და ის სიშორე გაინტერესებს.

შეგყურებენ დაბლით ვაჟები,
არ დაგიცურდეს ქოშის ქუსლები.
შენ კი ვარსკვლავებს ეთამაშები
და შორ ოცნებას ეუზგუზები.

თმას აგიწეწავს ზედაზნის ქარი,
გეპოტინება კაბის კალთაზე.
ე მაგ გალავნის ქონგურზე მდგარი
პატარა სულში რას მოათავსებ?!

რა არის იქეთ?!
იმ მთების იქეთ?!
ამ მთვარიანი ღამის იქეთაც?!
მთვარე ცლის ღვინით ავსებულ ჭიქებს,
მთვარემ შენს სულში თუ ჩაიხედა.

ე მაგ გალავნის ქონგურზე წინათ
მეციხოვნენი იდგნენ შუბებით.
ნუ აჩქარდები, არ მოვა წვიმა,
არ მოგისწრებენ შავი ღრუბლები.

გატაცებული ჩანთა

გამომძიებლის ნაამბობი

ანტონს სიმწარე თუმცა ბევრჯერ უგემია, მაგრამ ცხოვრებაში შერცხვენილი და განადგურებული მაინც არასოდეს ყოფილა. ამ გამრჯესა და კეთილ ადამიანს მშვენიერი და [illegible] შესახედაობაც ჰქონდა. ოთხმოცდაათ წლამდე ვერ იქნა და ვერ მოახერხა ოჯახისათვის მოეკიდა ხელი. მის დას, ნაზოს რომ არ გამოეჩინა მეტი ფხა, იგი ალბათ უცოლოდაც დაბერდებოდა. მაგრამ რა?! ზოგჯერ ხომ მართლაც კაცის ბედ-იღბალი სულ უცნაურად ტრიალდება ხოლმე. [illegible] ანტონმა ეს პირველად მაშინ თქვა, როცა იგი მეორეჯერ ცოლს სამუდამოდ გამოეთხოვა და [illegible] ბავშვი-ღა შერჩა. ანტონა ძალიან განიცდიდა საყვარელი მეუღლის ამ ერთადერთი ძვირფასი სამსოვრის — ლენას მოვლა, თუმცა განუზომელი იყო მისი მამური მზრუნველობა. ლენას აღზრდაში ანტონს უანგაროდ და ხალისით ეხმარებოდა ნაზო, რომელიც ქმართან ერთად სოფელში ცხოვრობდა. ნაზო ერთხანს სოფლიდან თითქმის მთლიანად გადმოსახლდა მამისეულ ბინაში, ანტონთან, რათა პატარა ლენას მოვლა-პატრონობა არ მოკლებოდა...

ლენა წამოიზარდა და ანტონიც სიხარულით ცას ეწია. მაგრამ მოულოდნელად ანტონს ახლავე ქვა აღმართში წამოეჭრა. ერთ დღეს მას სამსახურშივე შეატყობინეს, რომ ლენა სასწრაფო დახმარების მანქანით წაიყვანესო. საავადმყოფოში ლენა უგონოდ დახვდა. სახე და მკლავები მთლად დამწვარი ჰქონდა. სამზარეულოში მას პრიმუსი აფეთქებოდა და ცეცხლი წაეკიდებოდა. ექიმებმა ლენა სიკვდილის ხელიდან კი გამოსტაცეს, მაგრამ [illegible] დატოვებული სიმახინჯე პლასტიკური ოპერაციით მაინც ვერ მოაშორეს.

გატყდა ანტონი, გული დაეწურა. [illegible] თითქოს სწორედ ახლა იგრძნო. ლენასთან საუბრისას დროის ცრემლებს ვეღარ მალავდა. ატყობდა, რომ ლენას ვერაფერს შველოდა...

ასე გადიოდა დრო... ლენამ საშუალო სასწავლებელი დაამთავრა და ქარხანაში დაიწყო მუშაობა. [illegible] მამაც მუშაობდა. [illegible] მოლარე იყო. [illegible] არ გადასულა. სახლში ჯდომა უფრო გამიჭირდებაო, ფიქრობდა.

ერთხელ, როცა ანტონი სამსახურიდან შინ დაბრუნდა, ლენა მარტო არ დახვედრია. მასთან მამაკაცი იყო. უცნობმა თავი მოკრძალებით დაუკრა. ანტონიც მიესალმა. იგი პირადად არ იცნობდა სტუმარს. მხოლოდ ზოგი რამ ჰქონდა გაგებული მასზე. იცოდა, რომ იგი მათ უბანში სულ რაღაც მეორე წელია ცხოვრობდა. ჯარიდან დაბრუნების შემდეგ ჩვენს ქალაქში დარჩენა ამჯობინა, მეზობლები ამბობდნენ, მაგრამ სინამდვილეში არავინ იცოდა, თუ საიდან იყო ეს უცნობი. იგი ბევრს [illegible] იმიტომ, რომ ხშირად მთვრალი და ჩამოძენძილი, [illegible] დაეხეტებოდა ქუჩაში. ანტონს გაუკვირდა ამ კაცის სტუმრობა. ისინი ხომ სალმით არ იცნობდნენ ერთმანეთს. [illegible] ფიქრობდა.

— მამა, სტუმარი შენ გელოდებოდა, — ეს ლენამ ისე სწრაფად თქვა, თითქოს თავს იმართლებდა, რომ უცხო მამაკაცი შინ შეუშვა.

ანტონმა უცნობს ანიშნა, რომ დამჯდარიყო. თვითონ კი სამზარეულოში შეტრიალდა, ჩვეულებისამებრ ხელები გადაიბანა და მერე სტუმრის გვერდით მაგიდას მიუჯდა. სანამ ისინი ხმის ამოღებას მოასწრებდნენ, ლენა გარეთ გავიდა...

— მობოდიშებით, პატივცემულო ანტონ, რომ შეგაწუხეთ... თქვენ ალბათ არ მიცნობთ.

— არა, არ გიცნობთ, თუ კი მინახიხართ, მეზობელ კვარტალში არა ცხოვრობთ?

— დიახ, მე იქ ერთი ოთახი მაქვს დაქირავებული, მილიციის განყოფილება რომ არის, იმის თავზე...

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ანტონს არაფერი ჰქონდა სათქმელი. სტუმარი კი, რომელსაც ჯიბრაელი ერქვა, თითქოს არ ჩქარობდა, პირდაპირ საქმეზე გადასვლას.

— პატივცემულო ანტონ, მაპატიეთ, ერთი რჩევა მინდა მოგცეთ, — ხანმოკლე პაუზის შემდეგ თქვა სტუმარმა და [illegible], რომ ანტონი მის გულწრფელობაში ვერ დაეჭვებოდა.

— [illegible], — გაიფიქრა თავისთვის მამაკაცმა, მაგრამ ხმა არ ამოუღია.

— მე ერთი უთვისტომო კაცი ვარ, პატივცემულო ანტონ, მაგრამ მაინც თქვენ მეცოდებით, ჩემს ბედში სხვა არავინ ურევია, რაც მომდის, ჩემი თავით მომდის. ბედის ბატონ-პატრონი მე ვარ, თქვენ კი, აი, [illegible] დაგჩაგრათ. თავად უცოდველი და უდანაშაულო, მაინც [illegible]. ჩემი თანაგრძნობა თქვენთვის რა [illegible]... მინდა პირდაპირ საქმეზე გადავიდე... სტუმარი ერთხანს გაჩუმდა, თითქოს გაუბედაობაც კი დაეტყო.

— თქვით, რაც სათქმელი გაქვთ, შვილო, — წაახალისა ანტონმა.

— მე ის მინდოდა მეთქვა, პატივცემულო, რომ [illegible] თქვენი ქალიშვილის [illegible]...

[illegible] სტუმარს, მაგრამ [illegible] და ეს მერე თვითონაც გაუკვირდა.

— მოგეხსენებათ, ექიმები ბევრ ავადმყოფობას ვერ არჩენენ. სადაც მართლა [illegible], იქ ისინი უძლურნი აღმოჩნდებიან ხოლმე. ზოგჯერ ისევ ჩვენი წინაპრების სიბრძნეს უნდა მივაშველოთ, რომ უბედურება თავიდან ავიცილოთ...

— ექიმებზე კარგის მეტი რა მეთქმის, შვილო, — სიტყვა ჩამოართვა უკვე დაეჭვებულმა ანტონმა, — იმათ ხომ არაფერი დაზოგეს ჩემი ლენასათვის. რის გაკეთებაც შეიძლებოდა, გააკეთეს. [illegible]

— სხვა საშუალებითაც უნდა ვცადოთ. ხომ გაგიგონიათ, ექიმბაშებს რომ ეძახიან, ზოგჯერ მათაც შეუძლიათ სიკეთის მოტანა.

— ყველა ღონე ვცადე, ყველგან ვიყავით... მაგრამ რა გამოვიდა! [illegible] რომ აღარ არის ლაპარაკი, შეიძლება ამიტომ [illegible] — ზოგჯერ მეჩვენება.

— ალბათ გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ მკურნალობისა ზოგი რამ მეც გამეგება.

მოხუცს სახეზე ირონიული გამომეტყველება დაეტყო. მას [illegible] ამბავი გაახსენდა...

— მე ყოველთვის ლოთი როდი ვიყავი, — თითქოს მოხუცს მიუხვდა, ისე [illegible] თავისთვის ჩაილაპარაკა ჯიბრაელმა. მოხუცი უხერხულად შეიშმუშნა. ხმამაღლა ხომ არაფერი წამომცდენია, გაიფიქრა.

— რას ამბობთ, შვილო, — [illegible] მოხუცმა, — რატომ აკადრებთ თქვენს თავს მაგას თქმას?

— რაც ვარ, ის რომ ვიცი, რა არის ამაში ცუდი?

— ვინ არა ხარ?

— ლოთები კი მაინც ცოტანი ვართ.

— [illegible] თქვენ ის მითხარით, [illegible], — სიტყვა ბანზე აუგდო ანტონმა.

— არის ერთი წამალი, [illegible] რას ჰკარგავთ. უარესი არ მოხდება... მე [illegible] არ მოვითხოვ.

— რას ამბობთ, შვილო, ლენასათვის რას დავიშურებ. ყველაფერი რომ [illegible]... ცოტა [illegible], როგორ უთხრა. ჩვენ ამ თემაზე აღარ ვილაპარაკოთ. მეშინია, არ იფიქროს, რომ [illegible]...

— ეგ რა საფიქრებელია... ლენასათვის კი თქვენი რჩევაა საჭირო. [illegible] და, თუ გადაწყვეტთ, გამაგებინეთ. [illegible] ამაზე, მოგეხსენებათ, ლაპარაკი სხვაგან არ ღირს... მშვიდობით ბრძანდებოდეთ! — ჯიბრაელი წამოდგა და კარისაკენ გაემართა. ანტონი სტუმარს გარეთ გაჰყვა, გულმხურვალედ დაემშვიდობა და ისევ შინ შებრუნდა.

ჯიბრაელთან შეხვედრამ და საუბარმა ანტონს მასზე ერთგვარი აზრი შეუცვალა. ამ კაცზე რა არ ჰქონდა გაგონილი, მაგრამ ახლა ანტონს ზოგი გაზვიადებულად ეჩვენებოდა, ზოგიც, უბრალოდ, მოჭორილად.

ჯიბრაელის [illegible] ანტონი დააფიქრა. ამდენი ჭკუა რომ აქვს, თავისთავს უფრო ასე რატომ ეპყრობაო, — უკვირდა. [illegible] რაც ვიცი, ყოველთვის უწესრიგოდ ჰქონდა, უფრო ხშირად — მოვარდნილი. [illegible] სახის გამო ვერც მიხვდებოდით, რომ იგი ახალგაზრდა იყო. მისი წლოვანებით ან კი ვინ დაინტერესდებოდა?

ზოგს ისიც უცნაურად მიაჩნდა, რომ ჯიბრაელი მუშაობდა. ის [illegible] ინსპექტორად მუშაობდა და, წარმოიდგინეთ საქმეს თავს ართმევდა. [illegible] მას მეგობრებიც ჰყავდა. მერე როგორი მეგობრები?! — მანქანიანი! [illegible] ჯიბრაელი [illegible] „მოსკვიჩში" როგორ გამოიყურებოდა! მანქანის პატრონი ტრისტანი სავაჭრო [illegible] მუშაობდა, მას ფაქიზად ჩაცმა უყვარდა. [illegible] ჩაცმული ტრისტანი ერთთავად [illegible]. რა საერთო ჰქონდათ ერთმანეთთან [illegible] ჯიბრაელსა და გალაღებულ ტრისტანს — ამაზე გადაჭრით ვერავინ ვერაფერს გეტყოდათ. ზოგი ამბობდა, რომ ერთხელ ჯიბრაელმა სადღაც მანქანის კატასტროფის დროს ტრისტანი სიკვდილს გადაარჩინა და [illegible] დამეგობრდნენო. ზოგიც იმას ამბობდა, თითქოს ტრისტანს ძმაკაცებში ქეიფობის დროს ჯიბრაელი [illegible] მიჰყავდა, როგორც მასხარა... ანტონი ყოველივე ამას რომ იხსენებდა, სად იყო სიმართლე, ვერ გაიგო.

ანტონმა მხოლოდ ორი თვის შემდეგ შეიტყო — ჯიბრაელი და მისი ქალიშვილი რომ ერთმანეთს ხვდებოდნენ. ლენას მამისათვის არაფერი გაუმხელია. მათ ჯიბრაელზე მხოლოდ ერთხელ ჰქონდათ ლაპარაკი, მაშინაც ლენას კარგი არაფერი უთქვამს. გადაჭრით უარყო ჯიბრაელთან მკურნალობის [illegible] შესახებ მამის წინადადება, [illegible]. ახალგაზრდების ფარული შეხვედრები [illegible] ანტონმა ლენას მორცხვობით ახსნა. მკურნალობას რომ საშველი აღარ დაადგა, ალბათ ამიტომაც მერიდებაო... მაგრამ [illegible] არ შერჩა ეს აზრი. მალე დაკვირდა. ლენა ჯიბრაელს ღამით ხვდებოდა. ლოგინიდან ფრთხილად დგებოდა, ჩაიცმევდა და მასთან გადიოდა. ანტონმა ეს იცოდა, თავისი თვალით ხედავდა. [illegible], ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა. უნდოდა წამოვარდნილიყო და ლენასათვის კარი გადაეკეტა, მაგრამ ამასაც ვერ ახერხებდა. აკანკალებულ სხეულს ვერ იმორჩილებდა. დაბეჩავებულად და შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს. სამარცხვინოს რომ არ აკეთებენ, არ დამიმალავდნენ, — ეს ფიქრი აშფოთებდა, — თან ლენაც ეცოდებოდა. ახლა მხოლოდ [illegible] გრძნობდა, რომ [illegible] სულითაც დაემონებინა ადამიანი. მის თვალში [illegible] გაქრა ლენას სილამაზე და სინაზეც. მისი უმანკო ქმნილება ტალახში ამოისვარა. ანტონი თითქოს წინასწარ ხედავდა ჯიბრაელისაგან ლენას მოტყუებას, მაგრამ გამოსავალს ვერ ხედავდა. ქალიშვილთან [illegible] ერიდებოდა. იცოდა, რომ რაღაც საშინელება მოხდებოდა. ლენა [illegible] არ მიიღებდა. ანტონს ეშინოდა ძვირად არ დაჯდომოდა აჩქარება...

გავიდა დრო... ანტონისათვის კვლავ გამოიდარა. თავისი თვალით ხედავდა, რომ ლენა ბედნიერი იყო და ამაზე სასიხარულო რა უნდა ჰქონოდა! ჯიბრაელი მთლად გამოიცვალა, [illegible] კაცს დაემსგავსა. დარწმუნდა, რომ ჯიბრაელს ლენა უყვარდა. ისინი ერთმანეთს [illegible]. მათ სიხარულს ანტონისათვის ბედნიერი სიბერე მოჰქონდა. ანტონსაც თავისი ბედნიერება მათთვის უნდოდა. ყველაფერი მათთვის ემეტებოდა...

ჯიბრაელი თანდათან გაუთამამდა ანტონს. იგი თავისუფალ დროს ანტონს სამსახურშიაც მიაკითხავდა ხოლმე. ზოგჯერ იქიდანაც ტრისტანის მანქანით მოჰყავდა შინ, ან კიდევ, ხელფასის გამოტანის დროს, ბანკიდან — სამსახურში. ანტონს უკვირდა, რომ ბედი სწყალობდა, — როცა იგი ფულით სავსე ჩანთით ხელში მიდიოდა წინასწარ გამოძახებული ტაქსის სადგომთან და იქ ჯიბრაელი თავისი მეგობრის მანქანით დახვდებოდა. ჩვენი მანქანა [illegible], მაგრამ ტაქსზე უფრო სანდოაო, ხუმრობით ეტყოდა მას ხოლმე.

— მამა! — ერთხელ ნაშუადღევს სალარის სარკმელიდან შესძახა ჯიბრაელმა ანტონს. მოხუცმა თავი ამოყო და გაუღიმა. — ორი დღით ნათლიმამასთან მინდა წავიყვანო ლენა. იმ დღეს ვერ მოვახერხეთ... ახლა [illegible]... ლენა ხომ ჯერ შვებულებაშია...

— გზა მშვიდობისა, შვილო.

— ლენა არ მომდევს, მამაც წაიყვანეთო, მეუბნება.

— უკეთესი შენ! მოხუცმა ეშმაკურად ჩაუკრა თვალი ჯიბრაელს, დაეტყო, რომ ძალიან გაეხარდა.

— მე წინააღმდეგი ვარ... ამ კილომეტრზე მეტი გზა გვაქვს გასავლელი, დაიღლებით...

— მართალია! მაგის თავი სადა მაქვს... თანაც ხვალ ბანკიდან ხელფასია გამოსატანი... ლენას კი ხელი მოჰკიდე და ძალით წაიყვანე, — [illegible] ანტონი, — შინ ჯდომისაგან ქალს თვალები ამოღამებული აქვსო, დასძინა.

— რომ გამიჯიუტდეს, რა ვქნა?

— სამსახურიდან რომ მოვალ, მე თვითონ მოველაპარაკები.

— ავტობუსზე დავაგვიანდებით...

— მაშ რა მოვახერხოთ?

...მოიფიქრე, ოთხიოდე სიტყვა მისწერეთ — [illegible] სთხოვეთ, რომ უთქვენობა არ დაიტყოს, თავს გაუფრთხილდეს და მეც დამირეკოს. ხომ იცით იმის ხასიათი...

მოხუცმა უცოდველად დაწერა ბარათი და გადასცა ჯიბრაელმა ბოლომდე ჩაიკითხა, კმაყოფილებით თავი დაიქნია. ერთმანეთს დაემშვიდობნენ...

საღამოს გვიან მივიდნენ სოფელში, [illegible] სახლი ჩაბნელებული დახვდათ. უკვე დაწოლილიყვნენ, მაგრამ დიდხანს მაინც არ [illegible]. ლენას დანახვაზე მალე გამოიხმაურა სიხარულისაგან აღელვებული ნათლიდა. [illegible] სტუმრებს მალე ეპატიჟებოდა, თან ქმარს ეჩურჩულებოდა [illegible], ეტყობა აივანზე ჰქონდათ საწოლი, სანამ სინათლეს აანთებდნენ, იქ ფუსფუსებდნენ...

ნახევარ საათში უკვე სახელდახელოდ გაწყობილ მაგიდას უსხდნენ...

— გაიხარეთ, შვილებო, როგორც მე გამახარეთ.

— იქნებ შენმა ლოცვამ მაინც უშველოს ჯიბრაელს, ნათლიდა, უკვე როგორი [illegible] ხარ?

— მოიცადეს თავი, დაიღლებოდით.

— არა, ნათლიდა... ლენა უბრალოდ [illegible]...

— რა ვიცი, რაც სახლიდან გამოვედით, ერთთავად [illegible].

— თუ უკეთოდ არის, ცოტახნით წამოწვეს.

— რა დროს წამოწოლაა, დედაკაცო, ეგ რომ დაწვეს, მე რაღა უნდა გავაკეთო. მომაწოდე ე ბოთლი, [illegible] რომ გიდგას და მერე თვალი დაიჭი როგორ ქეიფზე დავდგება. — ძია ხარებამ ცოლს კარადაზე შემოდგარ ლამაზ სასმისზე მიუთითა, ხელადა ახლოს მიიდგა და ჯიბრაელს ღვინით გული შეუვსო. ჯიბრაელმაც [illegible], მაგრამ მალე ჩაღუნა თავი, ვერ გაუძლო მასპინძლის სიამოვნებისაგან განრწყინებულ თვალებს. შერცხვა. მას არასოდეს განუცდია უანგარო, [illegible], სხვისი სიკეთისათვის ზრუნვით გამოწვეული კმაყოფილება. იგი სწორედ რატომღაც ახლა გრძნობდა იმ უპირატესობას, რომელიც თავს იჩენს ხოლმე პატიოსან კაცის გულში, როცა მეგობრობით მასზე ამყარებენ იმედებს, მასზე ამოსდით მზე.

ნათლიდა ნადომ ქმარის წინ დაუდგა სასმისი და სამზარეულოში შეტრიალდა... ისინი კარგა ხანს ისხდნენ მაგიდასთან, მხოლოდ ხარება მხიარულობდა. მის ლაღ იუმორს ზოგჯერ ჯიბრაელიც გამოხმაურებოდა ფიქრებიდან, მაგრამ ცოტა ხნით. ხარებამ მხოლოდ მაშინ შეიცვალა [illegible], როცა ფრონტზე დაღუპული თავისი ბიჭები გაიხსენა.

— ...იმათ აი ამ დაკოჟრილი ხელებით შევაყვარე შრომა, ორივენი [illegible] სწავლობდნენ უმაღლესში... მაგრამ არ დასცალდათ, წაიყვანეს ფრონტზე და აღარ დაბრუნებულან; რას ვიზამთ. ვიღაცა ხომ უნდა დაღუპულიყო იმ დასაღუპავ ომში... ნადოს იმედი არა მქონდა, თუ გადაიტანდა, მაგრამ მადლობა ღმერთს... შრომამ გადაარჩინა. სამაგიეროდ, თქვენ იმრავლეთ, შვილებო... — ბოლოს მხნედ მიმართა ხარებამ ლენასა და ჯიბრაელს...

შუაღამე გადასული იყო, როცა ლენა და ჯიბრაელი [illegible] ოთახში შევიდნენ. როგორც კი [illegible] კარი, ჯიბრაელი [illegible] სკამზე და [illegible] წასკდა. მოულოდნელობით დაბნეული ლენა ჯერ გაშტერდა ქმრის უჩვეულო საქციელით, მერე კი მივარდა და ფერება დაუწყო.

— დამშვიდდი ჯიბრაელ, აბა დაწყნარდი, გენაცვალე.

— ო, რა საზიზღარი ვარ! [illegible], არამზადა!

— ნუ, საყვარელო, ნუ აკეთებ ნურაფერს, [illegible]. წამოდგა დაწექი და [illegible]. — ლენას არასოდეს ეგონა, რომ ჯიბრაელს ამდენი დაელია და ამიტომ ღვინის ბრალია, ფიქრობდა.

— მე მთვრალი არა ვარ. არ მიყვარხარ! — საბნიდან წამოიწია და მოიშორა ლენა, — აღარ მომეფერო. აღარ შემიძლია შენი სიკეთის ატანა. კმარა ამდენი მოტყუება! შენ ყველაზე უფრო ღირსი ხარ ბედნიერი იყო. შენთან რა უნდა [illegible] და თვალთმაქცს; [illegible] მოდგმის ნაბიჭვარს. ძმაკაცი! — [illegible] — შენი [illegible] დიდი ბედნიერება იქნება ჩემთვის. მე ხომ სიკვდილის ღირსიც არა ვარ. ვერ მიცნობ! მიყვარხარ-მეთქი გეტყოდი... ყველას გატყუებდით, ავაზაკი!

— რას ამბობ, ჯიბო, აღარ გიყვარვარ?

— ო, სწორედ, რომ ახლა მიყვარხარ, მაგრამ [illegible] წამების ღირსი ვარ...

— კარგი, გეყოფა... გენაცვალე, [illegible] ლაპარაკი... დაიმშვიდე გული, ჩემო ჭკვიანო ბიჭო, [illegible] რატომ ფიქრობ, რას ლაყბობ, [illegible]; მე მხოლოდ შენი სიყვარული მანიჭებს ბედნიერებას.

— რომ მიცნობდე, სიყვარულზე აღარც დამელაპარაკებოდი. ჯოჯოხეთივით შემიძულებდი.

— [illegible]! ყოველთვის მეყვარები! რაც არ უნდა მოხდეს, მაინც ვერ დაგივიწყებ.

— ლენა! ჩემო იმედო. შენ გენაცვალე... — ჯიბრაელმა თავდავიწყებით დაუკოცნა ცოლს [illegible], თან ტიროდა. ნეტარებისაგან ცახცახებდა. ლენას სიხარულისაგან გული აუჩუყდა. [illegible] თავის სათაყვანებელს. ის [illegible] ბედნიერი იყო...

— ლენა, ძვირფასო, ახლავე წავიდეთ, შინ გადაუდებელი საქმე მაქვს... [illegible]... უარი არ მითხრა.

— რა დაგემართა, რა იყო. ისეთი რა საქმეა, რომ მერე ვეღარ გააკეთო ან რით უნდა წავიდეთ ამ შუაღამისას?!

— რამე მანქანას ვნახავთ, წავიდეთ, დამიჯერე...

— ...ჯიბრაელ, რაკი არ დაგიშლია, დილამდე მაინც მოვიცადოთ. ნათლიდა და ძია რას იფიქრებენ, რომ გავეპარებით. მოხუცებს [illegible]. არა და ხომ ვერ გავიპარებით. ეხლა დაწექი, დაიძინე და დილაადრიანად მე თვითონ გაგაღვიძებ, მერე, — სადაც გინდა, იქ წავიდეთ.

...რა უბედურებაა, ამ დროს სახლიდან გასვლა მართლაც უხერხულია, მართალი ხარ; იცოდე, დილით, [illegible] აუცილებლად უნდა წავიდეთ, ულაპარაკოდ. ეს დაიხსომე. [illegible] არ დამეძინება, მაგრამ მაინც...

— ხომ იცი, რომ ადრე მეღვიძება ყოველთვის, დაიძინე გაგაღვიძებ...

მზე უკვე კარგა იყო ამოსული, როცა ჯიბრაელი ლოგინიდან დაფეთებული წამოვარდა და სასწრაფოდ ტანთ ჩაიცვა. ლენას მოფიქრება არ აცალა, გაუჯავრდა, რომ დროზე არ გააღვიძა, წავიდეთო, უთხრა და წამოიყვანა... ფოსტის განყოფილებაში შეირბინა. ლენა გარეთ დატოვა, ტრისტანთან დარეკვა მოინდომა... ვერ შეუკავშირდა... ბანკთან დააკავშირეს. ანტონი იკითხა, მაგრამ... წასულა, [illegible] ჩაილაპარაკა და გარეთ გამოვიდა...

ქალაქისაკენ ისინი უკვე ტაქსით მიჰქროდნენ... ჯიბრაელი სთხოვდა მძღოლს, უფრო ჩქარა წასულიყო... ლენას კი [illegible] მეუღლის [illegible] მოქმედებამ [illegible] შეუშინა... ქალაქში შევიდნენ, [illegible]. ქალაქი გადაკვეთეს და საბჭოთა მეურნეობისაკენ [illegible]. ანტონი ამ გზით მიდიოდა ხოლმე ბანკში და ბრუნდებოდა. უკან... გზიდან გადაუხვიეს, ხეებით დაფარული გზით ცოტა კიდევ იარეს, მერე მანქანა შეაჩერეს. ჯიბრაელი გადმოვიდა და ციხის ნანგრევებთან გორაკზე [illegible]. იქიდან ტყით დაფარულ მიდამოებს გადახედა... თვალებზე ხელი მოიფარა, ამოიგმინა... მერე ისევ ჩაჯდა მანქანაში და შინ დაბრუნდნენ...

[illegible] ჩაფიქრებული ლენა ჯიბრაელს ხმას აღარ სცემდა. [illegible] ვერაფერი გაიგო რა მოხდა. ჯიბრაელი მას გარკვევით არაფერს ეუბნებოდა. ავად ხომ არ არისო, ამასაც შიშობდა. ჯიბრაელი მეორე ოთახში ტახტზე [illegible] იწვა.

დრო გადიოდა. მამაც არსად ჩანდა. ჩვეულებრივ ყოველთვის ადრე ბრუნდებოდა სამუშაოდან, დღეს კი იგვიანებდა. მეურნეობის დირექტორმა უკვე მესამედ დარეკა, და მხოლოდ ბოლოს თქვა, რომ ანტონს ბანკში მიღებული ხელფასი მეურნეობაში ჯერაც არ მოუტანიაო. ლენა უფრო მეტად [illegible] ამ ახალმა ამბავმა. ჯიბრაელისათვის უნდოდა ეთქვა, მაგრამ [illegible] რატომღაც ვერ ვერ შეძლო...

საღამოს მათთან გამომძიებელი და მისი თანაშემწე პირველი მოვიდნენ. ანტონი თურმე ყველგან ეძებეს. ქვეყანა გადაატრიალეს, მაგრამ ვერსად აღმოაჩინეს. იგი უკვალოდ დაიკარგა. ლენასა და ჯიბრაელის მცირედი გამოკითხვის შემდეგ გამომძიებელი ბინის ჩხრეკას შეუდგა. ჩხრეკის დროს ყურადღება მიიპყრო ანტონის მიერ დაწერილმა ბარათმა, რომელიც ლენას საწერი მაგიდის უჯრაში აღმოჩნდა. ბარათის ტექსტის ზოგიერთი ადგილი წაშლილი იყო. ბარათი ასე იკითხებოდა: „შვილო ლენა!.. [illegible] არ მოიწყინოთ. თავს გაუფრთხილდი. ჯიბოს არ [illegible], გაუგონე... მინდოდა თქვენთან... მაგრამ... არა უშავს... მშვიდობით იყავით... მამა".

ჯიბრაელმა იცნო ბარათი. იგი ხომ მისი თხოვნით მისწერა ანტონმა ლენას, რომ გაჰყოლოდა სოფელში ნათლიდა ნადოსთან. ჯიბრაელმა ბოროტი განზრახვით სწორედ ეს ბარათი გამოსტყუა სიმამრს. [illegible] ამოშალა სიტყვები, რომლებიც მის გეგმას ხელს შეუშლიდა და [illegible] ჩუმად ლენას მაგიდის უჯრაში ჩადო.

გამომძიებელმა მოულოდნელობა ვერ დამალა, როცა ბარათი წაიკითხა. ჩხრეკის ერთმა მონაწილემ კი ფული გაუტაციაო, ხმამაღლა ჩაილაპარაკა... ჯიბრაელი სდუმდა. ლენას კი ბევრი ფიქრის თავი აღარა ჰქონდა. ვერ დარწმუნებულიყო, რომ მამა ფულს [illegible]...

ლენამ მალე სხვისი უბედურებაც გაიგო. ტრისტანი ქალაქგარეთ ტყეში მანქანა [illegible] და [illegible], ლაპარაკობდნენ. მაგრამ მამის დაკარგვით თავზარდაცემულმა ლენამ ამას ყურადღება არც მიაქცია...

დილით ტელეფონით დარეკეს. ჯიბრაელს მეორე ოთახში ეძინა. ყურმილი ლენამ აიღო და... ისევ მალე დაკიდა. პირველი სართულიდან მეზობელი ქალი სთხოვდა, ჩემთან ჩამოდით. ლენამ კარი გამოაღო და კიბის მეორე სართულის ბაქანზე გამოვიდა. კიბის ქვეშ მილიციელი გამოჩნდა და ხელით ანიშნა ძირს ჩასულიყო. ლენა დაემორჩილა. მეზობლის ქალმა ეზოში გამოიყვანა, სადაც სახლის გარშემო მილიციის ალყა დაინახა. იგი ეზოდან გაიყვანეს. სახლი დაცალიერებული იყო. მასთან რამდენიმე ცნობისმოყვარე მეზობელიც მოვიდა. ერთმა ქალმა ტრისტანი [illegible], ჩაილაპარაკა. ლენა ამაზე კიდეც გაბრაზდა, რაში მეკითხებით, დაუფიქრებლად უპასუხა. იმას გულისყური მთლიანად თავისი სახლისაკენ ჰქონდა გადატანილი. იქ მილიციელები კიდევ ჩანდნენ...

სროლის ხმა გაისმა... ლენა ერთხანს შეკრთა, შეჩერდა, მერე ინსტინქტურად უკან გაიქცა. კიბე აირბინა. მას უკვე აღარავინ აკავებდა. ოთახში შევარდა და განგმირული ჯიბრაელი დაინახა. ის იატაკზე პირქვე ეგდო... თავი მოეკლა... მილიციის მუშაკი მის რევოლვერს სინჯავდა. ლენა პირველად ხედავდა ამ იარაღს. ვიღაცამ ლენა ანუგეშა — ბოროტმოქმედი დაიჭირეთ; ისევ ტრისტანის სახელი უხსენეს, მაგრამ ახლა რაღაც საშინელება მოხვდა მის ყურს: ტრისტანი ანტონი მანქანაში [illegible] და ფული გაუტაცნიათ... ლენა ადგილიდან არ იძვროდა, ნიკაპი უკანკალებდა...

— ამას... რაღას ერჩოდით, — ძლივს მოახერხა თქმა და ჯიბრაელზე მიუთითა.

— დამშვიდდით, — თხოვნით მიმართა მილიციის ოფიცერმა, რომელსაც [illegible] ეტყობოდა, რომ იქ მყოფთა შორის უფროსი იყო, — „ჯიბრაელი" მისი უკანასკნელი მოგონილი სახელია. ეგ მეტად საშიში და დაუნდობელი ბანდიტი იყო, მისი უკანასკნელი მსხვერპლი კი თქვენ იყავით... მამათქვენი ფულის გულისთვის მანქანაში მაგან [illegible] ტრისტანს...

ლენას უკვე აღარ ესმოდა, რას ელაპარაკებოდა მილიციის თანამშრომელი. მას სწრაფად გაახსენდა წარსული. მოაგონა მამის ვედრება ჯიბრაელზე — ჯიბრაელის ლოთის ნიღბით ცხოვრება, ტრისტანთან შელაპარაკება... თვალთმაქცობა... და ბოლოს სინდისის ქენჯნა... და იგი [illegible]. გაშრა. ტირილი ვერ მოახერხა, [illegible] თვალი [illegible], მის სახეზე [illegible] და საშინელი სახე გამოაჩინა. თითქოს იგი ახლა გამოხატავდა მამის [illegible] თავის საშინელ მონაწილეობას...

ბეჟან ხორნაბუჯელი



დაცხა.

ფოტოეტიუდი გ. გოგოხიასი.

ქართული სიმღერის ოსტატები

ნოკო ხურცია

ვის არ მოუსმენია ძველი მეგრული სიმღერა „ჩუჩუ ლაშქრული", „სიმღერა სამამულო ომში გმირულად დაღუპულ მეგრიანე წერეწერიაზე", „საბუმარი", „ჭიშა ტურა", სიცოცხლით სავსე სიმღერა „ჰარირა" და მრავალი სხვა, რომლებსაც ფაქიზად ჟღერდა, ამუშავებდა, თხზავდა და მრწყინვალედ ასრულებდა ქართული ხალხური სიმღერების შესანიშნავი მცოდნე ნოკო ხურცია.

სამოცი წლის წინათ ცხაკაიას რაიონში, სოფელ მენჯში დაიბადა იგი. ბავშვობაშივე გაიტაცა სიმღერამ. მღეროდა ყველგან და ყოველთვის და სოფელმა ნოკოს ქალების მგალობელი ფრინველის „მაფშალიას" სახელი შეარქვა.

ნოკოს ხმის სიძლიერით მოჯადოებულმა სიმღერა-გალობის მასწავლებელმა, დამსახურებულმა პედაგოგმა ვალერიან ჯგენტიმ ნიჭიერი მოსწავლე, ხოლო ქიშუშმა ხალხური მოლექსის ლადო სალიაკიას ლექსებზე სიმღერები შექმნა. თექვსმეტი წლის ნოკო მიწვეული იქნა ცხაკაიას რაიონულ გუნდში, რომელსაც რეზო მელეცია ხელმძღვანელობდა. ნიჭმა და მონდომებამ თავისი გაიტანა, მან ფართო აუდიტორიის აღიარება და სიყვარული დაიმსახურა.

1925 წელს ნოკო ხურცია შევიდა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, ზოოვეტერინარულ ფაკულტეტზე. ამავე დროს მღეროდა ჯერ ჩიკე ლოლუას ეთნოგრაფიულ გუნდში, ხოლო შემდეგ — კირილე პაჭკორიას და კოწია ბაბაკიშვილის ხელმძღვანელობით არსებულ გუნდში, მსახიობადაც მუშაობდა მიხეილ ქავთარაძის ხელმძღვანელობით არსებულ სატირის თეატრში.

1932 წელს ნოკო ხურცია ამთავრებს ინსტიტუტს და ერთხანს აგრონომად მუშაობს მშობლიურ რაიონში. 1938 წელს მას ხალხური შემოქმედების სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში ვხვდებით. შემდეგ ნოკო ხურცია აბაშის რაიონის გუნდის ხელმძღვანელია. გუნდი მისი ხელმძღვანელობით წარმატებით გამოდიოდა რესპუბლიკის თითქმის ყველა კუთხეში. დაუღალავი შემოქმედი მონდომებით მუშაობდა ქალაქურის მაღაროელთა გუნდისა და სოფელ ხუჯების გუნდის ჩამოყალიბებაზე. ნოკო ხურციამ არც სცენისთვის დასტოვა უყურადღებოდ. მან ბევრი ძველი დავიწყებული სიმღერა აღადგინა, დაამუშავა და დაუბრუნა ხალხს. ნოკოს შესანიშნავი ხმა ისმოდა კინოფილმებში „ნარინჯის ველი", „ნატო ვაჩნაძის იუბილე", „გამარჯვებულთა ოლიმპიადა", „ფიცი", „თავადის ქალი მაია" და სხვ. ამ უკანასკნელ ფილმში ნოკოს მიერ დამუშავებული ჰარირას ჩართვა მნიშვნელოვან როლს თამაშობს მთავარი გმირის ფსიქოლოგიური დრამის გამოკვეთაში.

ნოკო ხურცია სიცოცხლის უკანასკნელ წლებში საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში მოღვაწეობდა.

პარალელურად ხელმძღვანელობდა სარაიონო კულტურის სახლებთან არსებულ თვითმოქმედ ანსამბლებს. ნოკო ხურციას მოღვაწეობის მნიშვნელოვანი მხარეა ისიც, რომ იგი თვითონ ქმნიდა სასიმღერო ლექსებს. („გმირ წერეწერიაზე", „კოლმეურნეზე", „სამშობლოზე", „შრომის გმირებზე"). მის მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული აგრეთვე „კუზი მეფიჩრის" და „ჩელას" აღდგენა.

1949 წელს ნოკო ხურციას საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა.

ჩვენი ხალხური ხელოვნების ოქროს ფონდში შევიდა ნოკო ხურციას სიმღერები, ხოლო მისი ხავერდოვანი ხმა დღესაც ჟღერს ფირფიტებიდან თუ რადიოს მაგნიტოფონის ფირებიდან.

ბელა ბაბუჩია

ჭკვიანი მანქანა

— [illegible] ღებს ველარ ნახავ აქ! — გულმოსუყვებლად ვთქვი და სახლიდან გამოვედი.

— შენი ფეხი შენახოს გაქრმელი აქ! — ვერ შემცვლია ცოლი.

გარეთ არ წვიმდა, როგორც ეს გმირის მოწყენილ ბუნებას შეეფერება. არც თანაგრძნობით იცქირებოდა ვინმე თავს. ადრეულებულ ასფალტს მხოლოდ უშვებელებით დარჩენილი მამაკაცების ნაფეხურები აჩნდა.

უცებ მეცა უკნიდან ვიღაც და ხამხლეჯა.

ძლივს დავუსხლტი ხელიდან. ჩემი სკოლის ამხანაგი იყო, თამაზი. მეტისმეტად გოჯოს ვეძახდით. ახლა უფრო დამოკლებული იყო.

— რას შვრები, სად ხარ, როგორა ხარ, ხომ ხარ ლომივით?

ასეთი ფსიქოლოგი იყო თავიდანვე. მათემატიკის გარდა არაფერი აინტერესებდა. კიდეც გაჰყვა ბოლომდე. თბილისს ვერ ეტია სწავლაში და მოსკოვს მიაშურა.

— წამო, გადავკრათ ას-ასი. — ყელზე თითი მიიტყაპუნა.

უნებისყოფო ქალიშვილივით გავყევი.

ას-ასს ას-ასი მიაყოლა. მერე კიდევ სხვა ასი. თვალა კარგად იყოდა.

— ხომ ხარ ლომივით? — მკითხავდა ყოველი ასის შემდეგ.

— ვერ ვარ ლომივით. — ცრემლი მომადგა მესამე ასის შემდეგ. — ხალხი რაკეტას უშვებს და მე კი ცოლს ვერ გამიშვია.

თამაზი კითხვის ნიშნად იქცა.

— უსიამოვნება მაქვს ოჯახში. — ვაღიარე დანებებით. ცოლი რაღაცა კვიმატურს მოთხოვს, მეც რაღაცა კვიმატურს მივახლი და კონცერტი იწყება.

— შენ პასუხი გჭირს? — გაეცინა თამაზს, — გახსოვს ქართულში?..

— ქართული სხვაა, ძმა, ერთი ცოლთან სცადე!

იგი ერთხანს დუმდა. მერე სახე გაუბრწყინდა.

— არის! დამარტყა მხარზე ხელი. — შენ გექნება ზუსტი პასუხები!

— საიდან?! — გავიკვირვე ახლა მე.

— სამა გვეტყვის.

— ვინ სამა?! გაგიჟდები?! — მეოთხე პირის ჩარევას აღარ ვაპირებდი ჩემს ინტიმურ ცხოვრებაში.

— ჩვენი სამა... სამეა, გამომთვლელი მანქანა.

იგი არ ხუმრობდა. მან საერთოდ არ იცოდა ხუმრობა.

— იცი, რა ჭკვიანი ვინმეა? მიეცემი შენი პატივცემული მეუღლის კითხვებს და ხუთ წუთში პასუხებს გამოგცემს.

— როგორ, მანქანა ჩემი ცოლის კითხვებს პასუხს გასცემს? — არ ვენდობოდი მე.

— განტოლებს მაინც არ კითხულობ?! — ეწყინა თამაზს. — შენი ცოლისას კი არა, მეცნიერ მათემატიკოსების ამოცანებს ყლაპავს. მალე ლექსებსაც დაწერს და მოისვენებენ პოეტები.

მე აღარ გამომიხატავს გაკვირვება. ეს უკვე მეტისმეტი იქნებოდა. — აბა, დროს ნუღარ ვკარგავთ!

მან ფული დაუგდო ოფიციანტს, მერე იქვე ჩამოქროლილ ტაქსს დაუსტვინა და ხელი შემიმჯდა.

ხუთ წუთში გამომთვლელის ცენტრში ვიყავით.

— კითხვებს ჩამოსწერე! მე მანამდე სამას მივხედავ!

თამაზმა ხალათი ჩაიცვა და გავარდა. თამაში დაწყებული იყო. მე გავეცინე და ცოლის ტიპობრივი კითხვების გახსენებას შევუდექი. აი, ისინიც:

1. შენი მათესავები რატომ აღარ დადიან ჩვენთან?
2. რა გეგმველება, ბავშვი დედამენს რომ დაემსგავსოს?
3. ნახე, ქმარმა ვალიდას ბრილიანტის საყურე რომ მოართვა?
4. რას ხედავ ამ ფეხბურთში მოსაწონს?
5. სად ბრძანდებოდი, ვაჟბატონო, შეიძლება?..

— როგორ არის საქმე? — სულთამხუთავივით დამადგა თამაზი.

მე ოცდაათ კითხვამდე მქონდა ჩამოწერილი.

— საკმარისია. — მითხრა და კარისკენ დაიძრა. — ახლა ამას მანქანის ენაზე გადავიყვან. დანარჩენი სამამ იცის. შენ მანამდე არ მოიწყინო.

მე ნერვიულობისაგან ბოლთის ცემა დავიწყე.

„მაინც რა არის ტექნიკა! მივალ, ბატონო, სახლში ცოლი, რა თქმა უნდა, გამკრავს თავისებურად. მე ჩუმათ ჩავიხედავ „შპარგალკაში" და ვუპასუხებ. ცოლი შეტევაზე გადმოვა, მე დიპლომატიურად მოვიგერიებ და აღარ დაინგრევა ერთი ქართული ოჯახიც".

კარმა გაიჭრიალა. თამაზი შემოვიდა მძიმედ. ხელში ქაღალდის სუფთა ლენტა ეჭირა.

— არაფერი გამოვიდა. — თქვა და დაწანწალებულივით გაბრუნდა. — მისცეხ ნულია... პირველი შემთხვევაა, სამა უარს რომ ამბობს...

ახლა ჩემი ტვინი ამუშავდა მანქანასავით და:

— შენი სამა ჭკვიანი კი არა გენიოსი ყოფილა! — ვთქვი სიხარულით თამაზს. — ეტყობა, ცოლის კითხვებს არ სთვლის პასუხის ღირსად...

არლი თაყაიშვილი

მინიატურები

საფუძვლიანი მიზეზი

რატომ მიატოვეთ ლოგინს გამამხნევებელი ვარჯიში? — შეეკითხა ექიმი პაციენტს.

— ბატონო, ცოლის გაღვიძების შიშით მაგ ვარჯიშს ფეხისწვერებზე ვასრულებდი, პოდა, გამხნევებია მეგიერ შიშმა მოსწრებოდა და რა მექნა?

ჭადრაკი და ქალის სურვილი

ახლად მოყვანილი ცოლი ქმარს ჭადრაკს ასწავლიდა:

— გახსოვდეს, მეფესთან შედარებით დედოფალს განუსაზღვრელი უფლებები აქვს.

— კი, მაგრამ, აგი დედოფალი მეფეს იცავსო?

— მართალია, მაგრამ, რაც შეეხება დედოფალს, იცოდე მას დაცვა და თვალყურის დევნება არ ესაჭიროება.

ქურდბაცაცას თვალსაზრისით

— რას იტყვი უგამყიდველო მაღაზიის შესახებ? — ჰკითხეს ქურდბაცაცას.

— ჯერადური მგელია, ადრე თვითონ გამყიდველები იპარავდნენ, ახლა კი სხვებს შეჰკურებენ არაფერი მოიპარონო.

ზუსტი საზომით

ტანწერწეტა ქალიშვილი ზღვის ნაპირას იდგა. მასთან ვაჟი მივიდა და ჰკითხა:

— თუ შეიძლება მითხარით რა სიმაღლისა ხართ?

— მეტრი და სამოცდათექვსმეტი სანტიმეტრი — მიუგო ქალიშვილმა და, ზღვას რომ გახედა, ღიმილით დასძინა:

— ზღვის დონიდან.

ლექცია ოჯახის სიმტკიცეზე

ლექტორმა ოჯახის სიმტკიცის საკითხებზე ლექცია წაიკითხა და მეორე დღეს ცოლთან ერთად სახალხო სასამართლოში განქორწინება შეიტანა.

— ჯერადური გახლავთ — მე გუშინ თქვენი ლექცია მოვისმინე — უთხრა მას მოსამართლემ.

— ძალიან კარგი, ახლა ჩემი ცოლის ყვაცი მოისმინეთ და ყველაფერს გაიგებთ.

ნუგეში

ცხვირგატეხილი ახალბედა მოკრივე რინგიდან ძლივს გაიყვანეს.

— არა უშავს, გული არ გაიტეხო — ანუგეშა მწვრთნელმა.

რევაზ მეგრელიშვილი

იუმორი

ინსპექტორი მელა

(იგავი)

მოუხმო დღეს მეფემ, მელას კეთილშობილსა,
უთხრა — ხომ იცი ვუხირო, რომ ვერ ვუნდები ქვეყანას.

მეფეო, მარტოდენ შენ ხარ ჩემი ერთგული მარადის.
— აგრეთვე ერთგულად მიგულეთ, მეფეო, კუდის კარამლის.

— ვიცი, და, გიბმე მისთვისაც, მაქვს დიდი გასაჭირი...
დოვლათი მისადგურდება, და შენი მელია მჭირია.

წადი, გახინჯე გულდასმით, სად ნაკლები, სად მეტია,
მოინახულე, გეოაყე, სალერე-საძრობეჲია.

ფრინველთა ფრთებიც ალნუსხე, ლეჩქ არი თუ კერტია!
— ო, თქვენთვის, დიდო მეფეო, სიცოცხლეც გამიმეტია...

ცისკრის ჯამს რიდით მოართვეს, ნეკბარ-ნეკბარი საგზალი,
დაიწყო მისი მისია, სამეუფე იწყო „ზანზარი"...

მან სალროვნში რომ ნახა ფუმფულა ტანები...
უფრიან ბზეხი ეუწყა შექარი და მათრახებით.

მაგრამ როდესაც მიართვეს ჩაქრეწებული დედლები,
ხუფრაზე სიტყვაც არ თქმულა რომე დასაყვედრები.

საქათმისაკენ წასული გულში ხალისით მღეროდა,
ჯერ ჯერ არ ნახული, დიდი პატივი ელოდა.

...შეეცხენდა, ფრინველთ მოშველიად, რომ ნახა
დაიდა ბელებით.
ახტა და დახტა, ბორიტად გაასავსავა ხელები.

თან ძირში ნერწყვი ჩაუდგა, საკრისის როცა ხედავდა,
მაგრამ ქრთამზედ კი ლაპარაკს მხოლოდ
ქარავნით ბედავდა...

და როცა დათვმა სადილად დის შეჭამანდი მიართვა, —
გულში თქვა, ეოდას გიტრუბ, ვერ გადმირჩები იაფად.

...და მოახსენა მეფეს: — შესრულდა თქვენი ბრძანება,
სხვა ყველაფერი რიგზეა, დავითვა მხოლოდ თავნება.
ამოწყდებიან ქინისკენ ქათამი, ბატნი, იხვები...
მეფე განრისხდა — მერე შენ რაღა არ დაზოგე წიხლებით?!

შენა ხარ, ჩემი ერთგული, შენა ხარ ჩემი მშველელი.
წადი, გაუგე ახლავე დათვს თავისი ბელებით.

მელასაც ხომ ეს უნდოდა, დიდი ხნის ნატვრა ასრულდა
და იმ საქათმის ამბავი გეტყვით: — თუ როგორ დასრულდა:

სხვადასხვა თანამდებობა მისცა მელის-მელიმელებსა,
ბარკალ-კურტუმის ხრამუნი გაქონდათ იმათ კბილებსა.

...გავიდა ხანი და ერთ დღეს მელიამ გულით იცინა,
რომ ნახა, მასმა ნაოლველმა ჩაკვნიტა ბოლო წიწილა.

მეფეს აცნობეს ამბავი... მეფე განრისხდა ძალიან
და მიუგზავნა თავის „ერთგულს": მიწისქვეშა რკინის გალია.

* * *

იგავში თავი ვინც იცნოს,
შეიგრძნოს აზრი ნათელი,
მოგიდგს, მომინახულოს,
ბევრი მაქვს კიდევ სათქმელი.

ნიკოლოზ ანანიაშვილი

«ნაბიჩვები წვენიანში»

(დასასრული)

ტყვეთა ერთზე იტყვიან „მოკვდა", მეორეზე კი — „დაიხოცნენ".

მერე გვერდის ქვეთავს კაკაბაძე ასე იწყებს: „რემარკის შემოქმედების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია მისი ავტობიოგრაფიულობა. ბევრი რამ მის რომანებში ავტობიოგრაფიულ ხასიათს ატარებს". აი კიდევ: „მას გერმანიაში დარჩენოდა საყვარელი ცოლი მარია, რომელიც თავდაუზოგავად უყვარდა" (გვ. 12). ვგონებ, კომენტარი საჭირო არ არის.

„მათ უამრავი ჭირისუფლი შეჰყვდებათ, უწყალო ბედი მათ რამდენიმეჯერ ამორებს და ახეტიალებს" (გვ. 12). ქართულად: უამრავი ჭირისუფლი შეხვდება ლტოლვილს და იოხუფს, რომლებიც უწყალო ბედი რამდენიმეჯერ დაამორებს და შეახვედრებს. „ის ჩხლებოდა, როცა პაციენტს უკვე ნარკოზი ჰქონდა გაკეთებული" (გვ. 13); ქართულად: ის მაშინ კანონდებოდა ხოლმე, როცა ავადმყოფს ნარკოზი უკვე გაკეთებული ჰქონდა. „რავიკი აგრეთვე ცოტაოდენ ფულს აკეთებდა მორფეუ „ოზირისში" რასკიატების გასინჯვით, ისევე როგორც რობი"... (გვ. 13). „ფულს აკეთებდა" რუსულია — „делал деньги". ქართულად: რავიკიც ცოტაოდენ ფულს შოულობდა სასიკაპო „ოზირისში" მეძავების გასინჯვით, ისევე როგორც რობი..." „ისინი მართლაც მხოლოდ ვეგეტატიურად არსებობდნენ და ვეგეტატიური განცდებული ჰქონდათ" (გვ. 15). „მას ყველა მოგონება გაეძევებინა საკუთარი თავიდან, მოგონებები ხანაკში მოხვედრამდე". (გვ. 15); „და როცა მას ჩვეულებისამებრ ხუთის ცხრა დაერხეუს, ფიქრებში ჩაძირულმა თქვა" (გვ. 15). და როცა მას ჩვეულებისამებრ ხუთას ცხრა დაერხეს, ფიქრებში ჩაძირულმა წარმოთქვა... აი, გაუმართავი ქართულის კიდევ ერთი ნიმუში: „ეს — ისე დიდებულია, რომ ლამის ვერ გაუძლოს ადამიანმა" (გვ. 18). წინასიტყვაობის ავტორი ვერ არკვევს როდის უნდა იხმაროს „ეძახის" და როდის „ეწოდება". „ერთგან თვითონვე [illegible]

„ძროხის მეცნიერებას". (გვ. 18). ქართულად: ასეთ მეცნიერებას ისინი თვითონვე უწოდებენ „ძროხის მეცნიერებას". „მაგრამ ამხუთ, რომელიც დაავადმყოფებულიყო, თვითონაც ვერ პოულობს". (გვ. 20) უნდა იყოს: მაგრამ დაავადმყოფებულებ ასეთს თვითონაც ვერ პოულობს.

აი, კიდევ რამდენიმე მაგალითი: „ამ საზოგადოების ბინადართ წარმოდგენილად დიდ ეპიტეტურ სიამოვნებას ანიჭებს კედელში ჩაჭედებული ლურსმნის ქალის დუხელებით ამოძრობა ანდა ასეთ ქალის ხმის ხაოვანი ცვალებადობა სამედერო ბრძანების ღრიალიდან უნაზესი ქალის ღუღუნამდე" (გვ. 21).

„...იხამელე (ხან იხამელა, ხან იხამელე — გ. ქ.) შეუმართ ადამიანად, ადამიანურ ადამიანად, ნორმალურ ადამიანად გვესახება". (გვ. 21); „ნერვებიც არიან... საბოლოოდ გამოუშვებადი აგტორის, რომელსაც ცოცხალი ადამიანივით კარგი ჰქვია და ჰკარგავენ განუყრელ მეგობარს გიჟურად ლექს, რომელსაც ერთი ნაცისტი ჰკლავს. ხაფერტმელია შეცდომით". (გვ. 11). უკანასკნელ წინადადებაში აღსანიშნავია: 1. სიტყვათა არეული წყობა. 2. „აგტორის" ხმარებით გამოდის სრული უაზრობა. „აგტორის" ნაცვლად, ალბათ, უნდა იყოს „აგენტ"; 3. კაკაბაძე უნებურად ადარებს, რომ ლენი, კეტერი და ლოკამი მეგობრები ყოფილან და არა ამხანაგები, როგორც იგი ამას ადრე თვითონვე თავგამოდებით „ამტკიცებდა".

ყოველივე ამასთან ერთად კაკაბაძე არასწორად წერს ზოგიერთ სიტყვას: „რამდენჯერმე" ნაცვლად ხმარობს „რამდენიმეჯერ", „დიახის" ნაცვლად — „დიაღს", „გახინჯვის" ნაცვლად „გამინჯვას", „კაიფცმა" — ნაცვლად, „კაიფცეს". კაკაბაძემ არ იცის როგორ იწერება ფრიდრიხი,

ერიხ მარია, რემარკი, ფრიდრიხ კოლერი და ხმარობს „ფრიდრიჰ" „ერიჰ", რაც ქართულისათვის სრულიადაც არ არის ბუნებრივი. ცნობილია, რომ გერმანულ „h"-ს ქართული — „ჰ" შეესიტყვება, ხოლო „ch"-ს კი — „ხ", მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების პირველმა მთარგმნელმა და ქართული კულტურის ღვაწლმოსილმა მოღვაწემ, აწ განსვენებულმა პროფ. ფ. გოგიჩაიშვილმა ქართულად სრულიად სამართლიანად დაამკვიდრა ფრიდრიხი და არა ფრიდრიჰი.

ხსენებული შეცდომების გარდა ნ. კაკაბაძის წინასიტყვაობა წარმოადგენს ზერელე ფაქტების კომპილაციას.

ნ. კაკაბაძე მოგვითხრობს:

„30-იანი წლების უცხოური ენციკლოპედიებისა და ჟურნალების მიხედვით ახალგაზრდა რემარკის პორტრეტი ასე წარმოგვიდგება: ხმელ-ხმელი, მაღალი, ქერათმიანი და ცისფერთვალება მამაკაცი, სათოფედ არ ეკარება რეპორტიორებსა და კორესპონდენტებს, ჭირის დღესავით სძულს ინტერვიუ, საჯარო გამოსვლები, საკითხებ-პატეკები და მოხსენებები, გაურბის ახალი ნაცნობების შეძენას, ჩვეულებრივ არ უპასუხებს წერილებს, შეუძლებელია მისი ტელეფონით (ალბათ, ტელეფონით მისი — გ. ქ.) გამოძახება, გულჩახვეულია და თითქოს ადამიანთა მიმართ, არამეგობრულად მოკრძალებული და სიტყვაძუნწი, თავდავიწყებით უყვარს ავტომანქანები, ცხენები და ძაღლები და ქალაქის ქუჩებში სახიფათო სისწრაფით დაქროლებს ხოლმე თავის მანქანას ჯოჯოხეთური მოძრაობის დროსაც კი..." (გვ. 5).

ნ. კაკაბაძე ეხება რემარკის ბიოგრაფიას და მოჰყავს ლაკონ-

რიულ" ისეთი ასეთ ფრაზას: „რემარკი დაიბადა 1898 წ. 22 ივნისს ქალაქ ოსნაბრიუკში ფრანგული წარმოშობის ოჯახში". მორჩა და გათავდა! არავითარი განმარტება, არავითარი მტკიცება! თქვა და ასეა! ამის მთქმელს ის კი დაავიწყდა, რომ ფრანგული წარმოშობის ოჯახში დაბადებული ადამიანი ფრანგია, ხოლო რემარკი, რამდენადაც დღემდე ცნობილია, გერმანელი გახლავთ.

ცნობილია, რომ რემარკი პაციფისტია, მაგრამ ისიც უდავოა, რომ კაცობრიობის ისტორიაში იყო და არის სამართლიანი და უსამართლო ომები. კაკაბაძე კი წერს:

„რემარკმა თავისი რომანით — „დასავლეთის ფრონტი უცვლელია" გააცამტვერა ომის მითიური ჰეროიკული მიმზიდველობა, მან ომს ჩამოაშორა რომანტიკული მარაფეტი და გააბიაბრუა იგი. გმირული სიკვდილის ლეგენდა. რემარკმა დაამსხვრია საუკუნეების განმავლობაში შექმნილი ფეტიშები: სიძუღერი სიკვდილი, პირზე ღიმილით სიკვდილი, „სამშობლოსა" და ხელმწიფისათვის თავის განწირვა და ა. შ. მან აჩვენა, რომ ბრძოლის ველზე ჯარისკაცები თავის დაცვის (თავდაცვის — გ. ქ.) მიზნით კლავენ მოწინააღმდეგე ქვეყნის ჯარისკაცებს, რომელთა მიმართ არავითარ სიძულვილსა და მტრობას არ გრძნობენ. ბრძოლის ველზე სიკვდილი და ჰეროიკული განწყობილება კი არ სუფევს, არამედ საკუთარი თავის გადარჩენის ინსტინქტი და დამჭერის შიში დეზერტირობისა ანდა პანიკიის შემთხვევაში..." (გვ. 10). მთელი ეს მსჯელობა და დასკვნები ვიწრო პაციფისტის მსჯელობას უფრო ჰგავს. განა დღეს, იმპერიალიზმის ეპოქაში შეიძლება ასეთი ლაპარაკი

საერთოდ ომების შესახებ? განა ასე იოლად შეიძლება რემარკისადმი ესოდენ დიდი ბრალდებების წაყენება, განა რემარკმა შეიძლება გააბიაბრუოს სამშობლოს სიყვარულის გრძნობა, მისადმი თავდადება? განა რემარკმა შეიძლება შეურაცხყოს მილიონობით ადამიანის ხსოვნა, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ სამშობლოს ნათელი სიყვარულის გამო გაუწირავთ თავი აგრესორების წინააღმდეგ ბრძოლაში? განა აგრესიული ომების უარყოფა თავდაცვითი ომების უარყოფას ნიშნავს? ასეა თუ ისე, ფაქტი ასეთია: რემარკი აბიაბრუებს იმპერიალისტური ომების არსს, მათ მესვეურებს, იმ ხალხის მიმართ კი ვინც აგრესორებისაგან თავს იცავს სიმპათიებს გამოხატავს ანდა ნეიტრალიტეტს იცავს. ამის ნათელი დადასტურებაა „დრო სიცოცხლისა და დრო სიკვდილისა", რომელსაც ხსენებული წინასიტყვაობა აქვს დართული. ამ რომანში რემარკმა საკმარისად გარკვევით გამოხატა თავისი კეთილი დამოკიდებულება იმ ხალხის მიმართ, რომელიც თავდაცვით ომს აწარმოებს. მაგალითისათვის გავიხსენოთ თუნდაც ოთხი საბჭოთა პარტიზანის დახვრეტის სცენა. რომანის თვითეული თავი, ქვეთავი, გვერდი, აბზაცი და სტრიქონი გაჟღენთილია ფაშიზმის სიძულვილით.

ამავე რომანში რემარკს აქვს ისეთი ადგილიც, რომელიც სავსებით ახალს მოითხოვს და რომელსაც გერმანული ლიტერატურის არცერთი სპეციალისტი, მით უმეტეს „რემარკისტი", გვერდს არ უნდა უვლიდეს. კაკაბაძე, სამწუხაროდ, რემარკის შემოქმედების კრიტიკულ, მარქსისტულ გარჩევას არ ახდენს. ყოველივე ამას იგი ამჯობინებს რემარკის მიერ ავტომობილების, ცხენებისა და ძაღლებისადმი სიყვარულის შესახებ ლაპარაკს.

[illegible] რომანი უზუსტოდ უთარგმნიათ. გამომცემლობის რედაქტორი მოწვეული რედაქტორის ტიტულს დასჯერებია, რის შედეგადაც ერიხ მარია რემარკის „დრო სიცოცხლისა და დრო სიკვდილისა" ქართველ მკითხველს მეტად [illegible] მისაცემად მიიღო.

გივი ქარბელაშვილი

[illegible]

ქართველმა პოეტებმა რუსთაველის დღეს დაუკავშირეს თავიანთი ზეიმი — პოეზიის დღე. როგორც ამასწინათ მკითხველს ვაცნობეთ, ქართული პოეზიის დღე ამიერიდან ყოველ სექტემბერს გაიმართება.

ამ დღეებში გაიმართა პოეზიის დღის მომწყობი კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა პოეზიის დღისათვის მზადების საკითხები.

სხდომაზე ინფორმაციით გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ი. ნონეშვილი. მან დაწვრილებით გააცნო, თუ როგორ ემზადება ქართული მწერლობა პოეზიის დღისათვის და რა ღონისძიებებია დასახული.

პოეზიის დღისათვის მზადებაზე ილაპარაკეს საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა გ. [illegible], პოეზიის სექციის თავმჯდომარემ ა. გომიაშვილმა, ჟურნალ „მნათობის" რედაქტორმა გრ. აბაშიძემ, გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნების" დირექტორმა რ. მარგიანმა, საქართველოს მწერალთა კავშირის პარტბიუროს მდივანმა ნ. გურეშიძემ და სხვებმა.

პოეზიის დღე აღინიშნება 27 სექტემბერს, რუსთაველის სახელობის თეატრში. ამ ზეიმის წინა დღეებში გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება" მკითხველებს მიაწვდის ლექსთა კრებულს „პოეზიის დღეს", რომელშიც დაიბეჭდება ქართველ პოეტთა ახალი, გამოუქვეყნებელი ლექსები.

ამ დღეს ქართველ პოეტთა ბრიგადები გაემგზავრებიან რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში, სადაც შეხვდებიან მკითხველებს. განზრახულია სტუმრად მოწვეულ იქნენ რუსი, უკრაინელი, სომეხი, აზერბაიჯანელი და სხვა რესპუბლიკების პოეტები.

ა. ს. თოფურია

— ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ა. ს. თოფურიამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ქართული ლიტერატურის [illegible] საკითხები".

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ა. ს. თოფურიასათვის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მინიჭება.

მზეო, მე შენი აღარ მეშინია!

ფოტოეტიუდი გ. რისტიაშვილისა.

აღმოჩენილია უძველესი ფრესკები

ურარტუს ციხე-ქალაქ ერებუნში, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე VIII საუკუნეში არსებობდა, მეფე არგიშტ პირველის სასახლის გათხრების დროს აღმოჩენილ იქნა ფრესკების თხუთმეტი ფრაგმენტი. ოდესღაც ეს ფრესკები ამშვენებდა 540 კვადრატული მეტრის ფართობის დარბაზის კედლებს.

ფრესკებზე გამოხატულია ფანტასტიკური ფიგურები, რომლებსაც აქვთ ხარის ტანი, ადამიანის თავი და ფრინველის ფრთა — კიდები. უნიკალური [illegible] შენარჩუნებული დიდი ოსტატობით და მზისგან ახლაც ხიბლავს სილამაზით და ნათელი კოლორიტით.

ერებუნის სახლ-ქალაქი [illegible] გათხრებს რამდენიმე ერთსართულიანი სახლი, რომლებიც ჰქონდათ სწორ ქუჩებს. [illegible] რიგი ნიმუშია ნაპოვნი.

ახალი წიგნები

„საბრძოლო მეგობრობა"

სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო გამომცემლობამ ახლახან რუსულ ენაზე გამოსცა მ. [illegible] მიერ შედგენილი მხატვრული კრებული „საბრძოლო მეგობრობა", რომელშიც მონაწილეობს ჩვენი რესპუბლიკის [illegible] ლიტერატურა, ქართველი მწერლების [illegible] კ. ლორთქიფანიძისა და [illegible] ნაწარმოებები.

კრებული ილუსტრირებულია მხატვრობისა და მონუმენტური ნამუშევრების რეპროდუქციებით. მას წინ უძღვის [illegible] ბიოგრაფიული ცნობები. კრებულის რედაქტორია ნ. პოლიაკოვა.

„ლიტერატურა და ხელოვნება"

იაკინთე ლისაშვილი — ნაწერგებზე. რომანში მოთხრობილია თუ როგორ ყალიბდება და მკვიდრდება ადამიანის სულში ახალი, კომუნისტური მორალი. რომანში ნაჩვენებია დღევანდელი სოფლის ცხოვრება. რედაქტორი — ც. ჩხეიძე, მხატვრები — თ. მირზაშვილი და ო. ჯიშკარიანი. გვ. 209, ფასი 45 კაპ.

„საბჭოთა საქართველო"

ვ. არდამატსკი — „სატურნი" თითქმის არ მოჩანს. თარგმანი ზურაბ გოგიაშვილისა. რედაქტორი — ა. დავითიანი, მხატვარი — გ. გორდელაძე. გვ. 484, ფასი 1 მან. 17 კაპ.

ელიზბარ ზედგინიძე — ორი რომანი: გაზაფხული დაიწყო ადრე; მზის ამოსვლამდე. რედაქტორი — ბ. [illegible], მხატვარი — ვ. ტოროტაძე. გვ. 484, ფასი 1 მან. 17 კაპ.

„ნაკადული"

მ. [illegible] — მარკ ტვენი (სერიიდან — გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება). თარგმანი მ. [illegible]. რედაქტორი — შ. [illegible], მხატვარი — დ. [illegible]. გვ. 402, ფასი 1 მან. 16 კაპ.

მაქსიმ გორკი — ორი ზღაპარი. რედაქტორი — ლ. თევზაძე, მხატვარი — ნ. იგნატოვი. გვ. 16, ფასი 3 კაპ.

ნოე კაკუშაძე — ამ ქარიშხლიან დღეებში. რედაქტორი — რ. [illegible], მხატვარი — [illegible]. გვ. 160, ფასი 45 კაპ.

ჰალდორ ლაქსნესი — ატომის სადგური. ნობელის პრემიის ლაურეატის ისლანდიელი მწერლის რომანი თარგმნეს ქ. [illegible] და დ. წერეთლიანმა. რედაქტორი — მ. ამაშუკელი. მხატვრები — [illegible] და ი. [illegible]. გვ. 188, ფასი 58 კაპ.

ვანო ურუშაძე — [illegible]. რედაქტორი — ნ. ბეზიაშვილი, მხატვარი — ი. ქლიბაძე. გვ. 174, ფასი 20 კაპ.

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი.
სარედაქციო კოლეგია: დ. ანთაძე, ხ. ბერულავა, ა. გომიაშვილი, ნ. გურეშიძე, გ. ლეონიძე, ა. მირცხულავა, მიხ. მრევლიშვილი, გ. ნატროშვილი, გ. ძლენტი, ერ. ქარელიშვილი, ს. ჩიქოვანი, თ. ჯანგულაშვილი, უ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66449 რედაქციის მისამართი: თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 18, ტელეფონები: რედაქტორის 9-84-04, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების 9-67-10, საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00752